პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

№ 32 (4189) ოთხშაბათი, 6 თებერვალი 1935 წ.

სწრაფი აღმავლობის გზით

„პრავდის“ მოწინავე 5/II

საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. მ. ჩერნოვმა და მარცვლეულის და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარმა ამხ. მ. კალმანოვიჩმა თავის მოხსენებებში საბჭოების ყრილობაზე გადაშალეს ჩვენი ქვეყნის მეცხოველეობის მდგომარეობის სურათი და დასახეს ღონისძიებანი მეცხოველეობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის. ეს ფაქტიური მასალით გაჟღენთილი მოხსენებანი აშკარად გვიჩვენებენ, რომ დაიწყო ჩვენი მეცხოველეობის აღმავლობა.

პარტიის მე-17 ყრილობაზე ამხ. სტალინმა სთქვა: „მეცხოველეობის საქმე თავის ხელში უნდა აიღოს მთელმა პარტიამ, ყველა ჩვენმა მუშაკებმა, პარტიულებმა და უპარტიოებმა, ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მეცხოველეობის პრობლემა ახლა წარმოადგენს ისეთსავე პირველი რიგის პრობლემას, როგორიც იყო გუშინ უკვე წარმატებით გადაჭრილი მარცვლეულის პრობლემა“.

განვლო ერთმა წელმა. და თუმცა მეცხოველეობის დარგში ჩვენ ჯერ კიდევ საკმაო ნაკლი გვაქვს, მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ პარტიის ბელადის დირექტივა ხორციელდება. გასულმა წელმა არამცთუ მარტო შეაჩერა სულადობის შემცირება, არამედ მოგვცა ყველა სახის პროდუქტიული პირუტყვის ზრდაც. ერთგვარი შემცირება (სამი პროცენტით) ჯერ კიდევ გვაქვს ცხენის სულადობის მხრივ. მაგრამ მეორე კოლმეურნეობებში, 1935 წლის პირველ იანვრისათვის აღწერის წინასწარი ცნობების მიხედვით, ცხენების სულადობა 8,5 პროცენტით გადიდდა. ყოველ შემთხვევაში ამხ. სტალინის მითითება, რომ 1934 წელს შეუძლია გახდეს და უნდა გახდეს კიდევ აღმავლობისაკენ გარდატეხის წლიწადად მთელ მეცხოველეობის მეურნეობაში, ბრწყინვალედ გამართლდა.

უკვე 1934 წელს მეცხოველეობა იზრდებოდა ისეთი ტემპებით, როგორიც დღემდე არ უნახავს მსოფლიოს. უკანასკნელი აღწერის წინასწარი ცნობებით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯოგი გაიზარდა 21 პროცენტით, ღორების სულადობა გაიზარდა 18 პროცენტით, ხოლო ცხვრების და თხების სულადობა —11 პროცენტით. ეს ზრდა შემთხვევითი როდია.

საქმე გვაქვს სწორედ მობრუნების ეტაპთან. ამას აშკარად მოწმობენ წლის პირველ და მეორე ნახევარში სულადობის ზრდის მონაცემები. შარშან ჩვენში ორჯერ ჩატარდა პირუტყვის აღრიცხვა: პირველ ივლისისათვის და პირველ იანვრისათვის. ცნობილია, რომ წლის მეორე ნახევარში ჩვეულებრივ ხდება ჯოგის სეზონური შემცირება: ჯერ ერთი, გრძელდება ახალგაზრდა პირუტყვის კვლება, მეორე, დაზამთრების წინ წარმოებს პირუტყვის დაკვლა და მისი წუნდება. მიუხედავად ამისა, გასული წლის მეორე ნახევარში სულადობის ზრდის ტემპები არამცთუ არ შემცირებულა, არამედ, პირიქით; გადიდდა კიდეც. ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან ბევრ რაიონში ნამდვილად მოჰკიდეს ხელი მეცხოველეობის აღმავლობას, ნამდვილად, მეურნეობრივად უფრთხილდებიან ახალგაზრდა პირუტყვს. *) სულადობის ზრდა გაცილებით მეტი იქნებოდა, ყველა რაიონში რომ წინსვლა ერთნაირი ყოფილიყო. და მართლაც, საშუალო ციფრებს იქით იმალებიან ისეთი რაიონები, სადაც სულადობის ზრდა მინიმალური იყო და ისეთებიც, სადაც სულადობა მცირდებოდა კიდეც.

ამხ. ჩერნოვმა თავის მოხსენებაში დაგვანახვა პირუტყვის სულადობის განაწილების ძალიან საგულისხმო „გეოგრაფია“. ჯოგის ყველაზე უფრო მეტ შემცირებას, 1929 წელთან შედარებით, ადგილი აქვს აღმოსავლეთ რაიონებში, ე. ი. უმთავრესად მეცხოველეობის რაიონებში, მაგალითად, ყაზახსტანში. აღნიშნული რაიონების ხვედრითი წონა ჩვენი ქვეყნის მეცხოველეობის დარგში უკანასკნელ წლებში თითქმის ერთიორად შემცირდა. და უკანასკნელი წელი მეცხოველეობის საერთო აღმავლობის წელი — არ იძლევა ამ რაიონებში რამდენადმე მაინც თვალსაჩინო ზრდას.

ჩვენს წინაშე დასახულია ამოცანა. აღვადგინოთ აღმოსავლეთის რაიონების როლი ჩვენი ქვეყნის საერთო მეცხოველეობაში. აქ წინათ კულაკების, ბაიების ხელში იყო თავმოყრილი პირუტყვის უფრო მეტი პროცენტი, აქ განსაკუთრებით იჩინა თავი კულაკურმა მავნებლობამ. მაგრამ ახლა ამ რაიონებში სულადობის ზრდა დამოკიდებულია მხოლოდ პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობაზე და მათი მხრივ ამ საქმის ხელმძღვანელობაზე.

არა მარტო აღმოსავლეთის, არამედ სხვა რაიონებშიც დღემდე ხშირად მიუთითებენ კულაკის მავნებლობაზე, როგორც მეცხოველეობის ზრდის შეფერხების მთავარ მიზეზზე. უნდა შევიგნოთ უბრალო რამ: ახლანდელ პირობებში, როცა კლასობრივი მტერი განადგურებულია და საკოლმეურნეო წყობილებამ საბოლოოდ და სამუდამოდ გაიმარჯვა, როცა სოფლის მეურნეობაში დამთავრდა ორგანიზაციული პერიოდი, კულაკს შეუძლია ზიანი მოგვაყენოს მხოლოდ ჩვენი საკუთარი დაუდევრობით. მხოლოდ ადგილობრივი მუშაკების უმოქმედობით და არასაკმაო სიფხიზლით. საბოლოო ანგარიშით ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენზე და მხოლოდ ჩვენზე.

აღმოსავლეთის რაიონების მუშაკებმა მერე მოიხადონ თავისი ვალი ჩვენი ქვეყნის წინაშე. პარტიას და მთავრობას უფლება აქვს მოსთხოვოს ახლა მათ გაათკეცებული ენერგია მეცხოველეობის აღმავლობის ხაზით მუშაობაში. აღმოსავლეთის რაიონებს შეუძლიათ დაიკავონ და უნდა დაიკავონ კიდეც წამყვანი ადგილი ამ საქმეში, რომელიც ახლა უმნიშვნელოვანეს საქმეს წარმოადგენს.

დიდ სიძნელეს აქვს ადგილი მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების მუშაობაშიც. საერთოდ საბჭოთა მეურნეობებს დიდი ადგილი უჭირავთ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში. ამას მჭერმეტყველურად მოწმობენ ამხ. კალმანოვიჩის მოხსენებაში მოყვანილი ცნობები. საკმარისია ითქვას, რომ მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფო დამზადებათა საერთო ჯამიდან შარშან მოგვცეს ხორცის მხრივ 23 პროც., ერბო-კარაქის—20 პროცენტი, წმინდა მატყლის მხრივ—57,3 პროც.; ნახევრად უხეში მატყლის მხრივ—62,1 პროცენტი.

მაგრამ. საბჭოთა მეურნეობებიც არიან და საბჭოთა მეურნეობებიც. მოწინავე, რენტაბელურ საწარმოებთან ერთად მოიპოვება ისეთ საბჭოთა მეურნეობების საკმაო რიცხვი, რომლებიც წლითი-წლობით ვერ ასრულებენ თავის გეგმებს. დროა მტკიცედ ავიღოთ მაგალითი მოწინავეებისაგან. ჩვენში არიან ისეთები, რომელთაგანაც შეგვიძლია ავიღოთ მაგალითი. უკვე გვაქვს ათასობით კოლმეურნეობები და მრავალი ათეული საბჭოთა მეურნეობები, რომლებმაც შესძლეს მთლიანად შეინარჩუნებიათ ახალგაზრდა პირუტყვი, შესძლეს მოეცათ ჯოგის მაქსიმალური ზრდა და მაქსიმალური პროდუქცია. სანიმუშო საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები უნდა იყვნენ არა მარტო ქების და პატივისცემის ობიექტი, არამედ მუშაობის მტკიცე საზომიც ყველასათვის. 1935 წელს ჩვენში არ უნდა იყოს არც ჩამორჩენილი კოლმეურნეობები, არც ჩამორჩენილი საბჭოთა მეურნეობები, მით უმეტეს არც ჩამორჩენილი რაიონები.

ამისათვის ახლა ჩვენ ყოველგვარი შესაძლებლობა გვაქვს. 1935 წელს ჩვენ ვიბრძოლებთ მეცხოველეობის აღმავლობისათვის ერთიანი სახელმწიფო გეგმით. ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ ამ გეგმის შესრულება, საკმაოდ ვრცლად არის ჩამოყალიბებული ორივე სახალხო კომისრის მოხსენებებში. მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის საფუძველს წარმოადგენს ახალგაზრდა პირუტყვის შენარჩუნება, კვლების დაყვანა მინიმუმამდე, საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმების ზრდა და განმტკიცება.

1935 წელი უნდა გახდეს ყველა სახის პირუტყვის სულადობის სწრაფი ზრდის წელი და ცხენის სულადობის ზრდის პირველი წელი. ცხენისადმი ბარბაროსული დამოკიდებულება, რასაც უკანასკნელ დრომდე ადგილი ჰქონდა თითქმის ყველგან, ცალკეულ რაიონებში ახლაც არ არის აღმოფხვრილი. ცხენის სულადობის აღდგენა—ყველაზე უფრო ძნელი ამოცანაა, იგი უფრო მეტ დროს მოითხოვს. სწორედ ამიტომ აქითკენ უნდა იყოს მიპყრობილი ყველაზე უფრო მეტი ყურადღება. სოფლის მეურნეობის ტრაქტორიზაციის ზრდა კი არ უარყოფს, არამედ გულისხმობს ცხენების სულადობის გადიდებას ჩვენს ქვეყანაში. არ უნდა დაგვავიწყდეს მეცხენეობის უდიდესი თავდაცვითი მნიშვნელობაც.

მეცხოველეობის აღმავლობა დაიწყო. ახლა უნდა განვამტკიცოთ ეს აღმავლობა და გავსწიოთ წინ კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით. პარტიის მე-17 ყრილობაზე ამხ. სტალინმა, როცა იგი ლაპარაკობდა მეცხოველეობის აღმავლობის ამოცანაზე, სთქვა: „ზედმეტია იმის მტკიცება, რომ საბჭოთა ადამიანები, რომლებსაც გადაულახავთ არაერთი სერიოზული დაბრკოლება მიზნისაკენ მიმავალ გზაზე, შესძლებენ გადალახონ ეს დაბრკოლებაც“. ამ მიმართულებით ცოტა რამ უკვე გაკეთებულია. შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენი ქვეყანა შესძლებს უთხრას თავის საყვარელ ბელადს:

— არის, ამხანაგო სტალინ! ეს დაბრკოლებაც გადალახულია!

---

*) ზრდა გასულ წლებში მეტი არაა, მაგრამ საკმარისი მაინც არ არის.

საბჭოების VII სრულიად საკავშირო ყრილობა

მეცხოველეობის განმტკიცების და განვითარების ღონისძიებათა შესახებ

ს.ს.რ. კ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. მ. ა. ჩერნოვის მოხსენება*)

ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება მოქმედებაში

მეორე ხუთწლედის გეგმით ჩვენ ვალდებული ვართ გავადიდოთ ცხენების სულადობა 11,2 პროცენტით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის — 60,9 პროც., ღორების—274 პროც., ცხვრების და თხების—84 პროც., შინაური ფრინველის—150 პროც.

დიდხანს არ შევჩერდები იმაზე, თუ რა ხდებოდა ამ წლამდის. ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციის პერიოდში მისი ყველა დარგებიდან მეცხოველეობა ყველაზე უფრო დაზარალდა. სოფლის მეურნეობის მეცხოველეობის დარგი ყველაზე უფრო იყო გაჟღენთილი კულაკური ელემენტებით. კულაკური აგიტაცია პირუტყვის დაკვლის სასარგებლოდ რეორგანიზაციის წლებში გამოხმაურებას პოულობდა საშუალო გლეხთა შორისაც კი. ამის შედეგად 1929 წლიდან 1932 წლამდე ჩვენ გვქონდა მეცხოველეობის დაცემა უკლებლივ მის ყველა დარგში; ამასთან ცხენების რაოდენობა 1929 წლის 34,6 მილიონიდან შემცირდა 1932 წლის 19,6 მილიონამდე, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის—1929 წლის 67,1 მილიონიდან 1932 წლის 40,7 მილიონამდე, ღორების შესაფერისად 20,4 მილიონიდან 11,6 მილიონამდე და ცხვრების და თხების 147,2 მილიონიდან 52,1 მილიონამდე.

1933 წელს დაისახა გარდატეხა აღმავლობისაკენ; სულადობის შემცირება მინიმუმამდე დავიდა, ხოლო ღორების მხრივ 1933 წელმა, წინანდელ წელთან შედარებით, უკვე მოგვცა ზრდა თუმცა, მართალია, მეტად უმნიშვნელო — 500 ათასი სული.

თავის მოხსენებაში პარტიის მე-17 ყრილობაზე ამხ. სტალინი ამბობდა: „1934 წელი შეიძლება გახდეს და უნდა გახდეს კიდეც აღმავლობისაკენ გარდატეხის წელი მთელს მეცხოველეობის მეურნეობაში“.

ჩვენი ბელადის ეს სიტყვები მთლიანად დადასტურდა, სოფლად პარტიის სწორი პოლიტიკის და საკოლმეურნეო წყობილების საბოლოოდ განმტკიცების შედეგად 1934 წელს ჩვენ გვაქვს ზრდა ყველა სახის პროდუქტიული პირუტყვის მხრივ.

საალრიცხვო ცნობები 1934 წლის პირველ ივლისისათვის ასეთია: ჩვენ გვაქვს სულადობის ზრდა 1933 წლის პირველ ივლისთან შედარებით: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის—10,6 პროც., ღორების—44,6 პროც., ცხვრებისა და თხების—3,4 პროც., და მხოლოდ ცხენების მხრივ გვაქვს ჩვენ სულადობის შემცირება, 1933 წელთან შედარებით, 5,5 პროცენტი, რაზედაც შემდეგში მე დაწვრილებით შევჩერდები.

1934 წლის ივნისის დამლევს და ივლისის დამდეგს მიმდინარეობდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზედაც განხილული იყო საკითხი მეცხოველეობის გაძლიერებისა და განვითარების შესახებ. ამ საკითხზე პლენუმმა მოგვცა მთელი რიგი პრაქტიკული მითითებანი და განსაკუთრებით გაამახვილა საკითხი იმის შესახებ, რომ შევინარჩუნოთ და განვავითაროთ ახალგაზრდა პირუტყვი უკვე 1934 წლის შემოდგომაზე. ამხ. მოლოტოვმა თავის მოხსენებაში უკვე მოიყვანა ჯერჯერობით არასრული ცნობები პირუტყვის 1935 წლის პირველ იანვრისათვის ჩატარებული აღრიცხვის შედეგების მიხედვით. ამ, ვიმეორებ, არასრული ცნობებით პირუტყვის სულადობა საკოლმეურნეო გლეხურ სექტორში 1935 წლის პირველ იანვრისათვის, 1934 წლის პირველ იანვართან შედარებით, გადიდდა: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის —21 პროც., ღორების—118 პროც., ცხვრების და თხების—11 პროც., ცხენების—3 პროცენტით.

ამ შედარებიდან დასკვნა მარტივია: ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება მოქმედებაშია. პირუტყვის, განსაკუთრებით ახალგაზრდა პირუტყვის, დაკვლა 1934 წლის შემოდგომაზე, 1933 წლის შემოდგომასთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდა.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საშუალო ზრდა 1934 წლის პირველ ივლისისათვის უდრის—10,6 პროც., მაგრამ თუ ავიღებთ ცალკეულ ოლქებს ან რესპუბლიკებს მივიღებთ ასეთ სურათს: დნეპროპეტროვსკის ოლქი იძლევა ზრდას—35,2 პროცენტი, ყირიმის ა.ს.ს. რესპუბლიკა — 32,7 პროც., ოდესის ოლქი—30,1 პროც., დონეცკის ოლქი—32,6 პროც., და სხვ., ამასთან ერთად არის მთელი რიგი ოლქები და რესპუბლიკები, რომლებიც იძლევიან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯოგის უმნიშვნელო ზრდას, მაგალითად, კურსკის ოლქი იძლევა 3,3 პროცენტს, ბელორუსიის ს.ს. რესპუბლიკა—2,6 პროც., ლენინგრადის ოლქი—5 პროც., თურქმენისტანის ს.ს. რესპუბლიკა—0,9 პროცენტს, უზბეკისტანის ს.ს. რესპუბლიკა—1,7 პროც., დაბოლოს, არის მთელი რიგი ოლქები და რესპუბლიკები, რომლებშიაც 1934 წელს პირუტყვის სულადობა არამცთუ იზრდება, არამედ კლებულობს კიდეც, მაგალითად, ჩერნიგოვის ოლქში სულადობამ იკლო—1,1 პროც., დასავლეთის ოლქში—5,7 პროც., ყირგიზეთის ა.ს.ს. რესპუბლიკაში—8,4 პროც., ყარა-კალპაკიაში—10,9 პროც., ტაჯიკისტანის ს.ს. რესპუბლიკაში—35,3 პროცენტით.

მემინდვრეობის დარგში ჩამორჩენილი ოლქები დასავლეთის ოლქი, სტალინგრადის მხარე, კურსკის ოლქი—ჩამორჩენილი არიან მეცხოველეობაშიც. აქედან ჩანს, რომ მეცხოველეობის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული მემინდვრეობის განვითარებასთან და მთლიანად დამოკიდებულია იმ ყურადღებისაგან, რომელსაც ადგილობრივი ორგანიზაციები აქცევენ სოფლის მეურნეობას მთლიანად და მეცხოველეობას კერძოდ.

მეორე ხუთწლედის დარჩენილ სამი წლის განმავლობაში პირუტყვის ზრდა, 1934 წლის პირველ ივლისთან შედარებით, უნდა შეადგენდეს: ცხენების—7,2 მილიონი სულს, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის—26 მილიონ სულს, ცხვრების და თხების —44,1 მილიონ სულს.

ამხ. სტალინმა პარტიის მე-17 ყრილობაზე დასახა გზები ამ ამოცანის გადასაჭრელად. იგი ამბობდა: „მეცხოველეობის საქმე თავის ხელში უნდა აიღოს მთელმა პარტიამ, ყველა ჩვენმა მუშაკებმა, პარტიულებმა და უპარტიოებმა, ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მეცხოველეობის პრობლემა ახლა წარმოადგენს ისეთსავე პირველი რიგის პრობლემას, როგორიც იყო გუშინ უკვე წარმატებით გადაჭრილი მარცვლეულის პრობლემა. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ საბჭოთა ადამიანები, რომლებსაც თავისი მიზნის გზაზე არაერთი დაბრკოლება გადაულახავთ, შესძლებენ ამ დაბრკოლების გადალახვასაც“.

ამჟამად ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოვახდინოთ ამ საქმისათვის ყველა საბჭოთა ადამიანების, ყველა კოლმეურნის და ერთპიროვნულ მეურნეების, ყველა რგოლის მუშაკების, განსაკუთრებით სასოფლო საბჭოების მუშაკების, მობილიზაცია.

მეცხოველეობის განვითარების 1935 წლის სახელმწიფო გეგმას საფუძვლად უდევს ახალგაზრდა პირუტყვის გამოზრდის გეგმა, რომელიც აწესებს მტკიცე დავალებას საბჭოთა მეურნეობებში, საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმებში, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებში ახალგაზრდა პირუტყვის შენარჩუნების და გამოზრდის შესახებ.

1935 წლის გეგმა ითვალისწინებს 11,4 მილიონ ხბოს, 16,6 მილიონ ბატკნის და ციკანის, 14,8 მილიონი გოჭის, 2,1 მილიონი კვიცის შენარჩუნებას და გამოზრდას.

ეს დაახლოებით შეადგენს 1935 წლის მთელი ნამატის ორ მესამედს.

თავისთავად ცხადია, რომ ეს დავალება ახალგაზრდა პირუტყვის გამოზრდის ხაზით წარმოადგენს მხოლოდ სავალდებულო მინიმუმს, თვითეული რაიონის, კოლმეურნეობის, სასოფლო საბჭოს, თვითეული ოლქის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულონ.

ახალგაზრდა პირუტყვის გამოზრდის გეგმის შესრულება წარმოადგენს უდიდეს ნაბიჯს სულადობის აღდგენის და ზრდის საქმეში. წლის განმავლობაში იგი უზრუნველყოფს მსხვილი რქოსანი პირუტყვის ზრდას 18,8 პროცენტით, ცხენების—9,3 პროც., ღორების—36 პროც., ცხვრების და თხების—19.8 პროც.

შეიძლება თუ არა ამ ამოცანის შესრულება?

ის გარემოება, რომ ხბოების დახოცვა 1932 წლის 29.7 პროცენტიდან შემცირდა 1933 წლის 19,7 პროცენტამდე და 1934 წლის 13,8 პროცენტამდე, გოჭების—1933 წლის 24.9 პროცენტიდან 1934 წლის —14,4 პროცენტამდე და ბატკნების—1933 წლის 12,2 პროცენტიდან 1934 წლის 9,0 პროცენტამდე, თავისთავად გვეუბნება იმას, რომ ამ დავალების შესრულება შესაძლებელია. მაგრამ დახოცვის პროცენტი 1934 წელს ჯერ კიდევ ძალიან დიდია, ხოლო მიღწევები ამ დარგში ძალიან ნაკლებია. სულადობის დახოცვა შეიძლება დაყვანილ იქნას და კიდეც უნდა იქნას დაყვანილი ნოლამდე ან ნოლის მახლობელ ოდენობამდე.

ყველა ოლქში, მხარესა და რესპუბლიკებში მოფანტული არტელების უდიდესი რაოდენობა მოწმობს, რომ ფერმებს შეუძლიათ სავსებით დააღწიონ თავი პირუტყვის დახოცვას, თუ დამაკმაყოფილებლად დააყენებენ მუშაობას და კოლმეურნეობათა გამგეობები, სასოფლო საბჭოები და რაიონული მუშაკები გამოიჩენენ მზრუნველობას ახალგაზრდა პირუტყვის მიმართ.

კოლმეურნეობა „კალმოსის“ (ვოლოსოვსკის რაიონი, ლენინგრადის ოლქი), სარძეო სასაქონლო ფერმამ 1934 წელს მოგებულ 32 ხბოდან უკლებლივ ყველა შეინარჩუნა.

იმავე ლენინგრადის ოლქის საგარეუბნო რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი პერედოვიკის“ სამანქანო-სატრაქტორო სადგურმა უკლებლივ შეინარჩუნა ყველა მოგებული 22 ხბო.

ჩრდილოეთის მხარის ნენეცკის რაიონის გრინოგორის ფერმაში სამი წლის განმავლობაში არ ყოფილა ახალგაზრდა პირუტყვის დახოცვის არც ერთი შემთხვევა.

ამას ფერმამ მიაღწია საუკეთესო დამკვრელების პოტოკინის და ბალდინის მეოხებით.

შეიძლება კიდევ ჩამოვთვალოთ მთელი რიგი რაიონები, რომლებმაც ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწიეს ახალგაზრდა პირუტყვის შენარჩუნების საქმეში. მაგალითად, ჩრდილოეთის მხარეში კუბინოოზერსკის რაიონმა ახალგაზრდა პირუტყვი შეინარჩუნა 97,9 პროცენტით, ნენეცკის რაიონმა—97,7 პროც., ნიკოლსკის რაიონმა — 96,2 პროცენტით.

უკრაინის 64 გამოკვლეულ რაიონში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ახალგაზრდა ნამატის დახოცვა დაყვანილია 3 პროცენტამდე გოჭების — 5 პროც., ბატკნების 73 რაიონში—3 პროცენტამდე.

ეს ციფრები მოწმობენ, რომ შესაძლებელია გავართვათ თავი იმ ამოცანას, რომელიც დასახულია 1935 წლისათვის ახალგაზრდა პირუტყვის გამოზრდის საქმეში და ამით შევასრულოთ მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმაც, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ არ გვექნება თვითდინების იმედი, ბოლშევიკურად შევასრულებთ გეგმას, შევიგნებთ სასაქონლო ფერმის როლს სოციალისტურ მეცხოველეობაში, განვამტკიცებთ და ყურადღებას მივაქცევთ მას.

საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმა—მეცხოველეობის აღმავლობის, კოლმეურნეობის განმტკიცების და მისი სიმდიდრის ზრდის ბაზაა

კოლმეურნეობებმა სასაქონლო ფერმების მოწყობა დაიწყეს 1931 წელს თავდაპირველად განსაზოგადოებული პირუტყვის, კულაკებისაგან ჩამორთმეული პირუტყვის და იმ პირუტყვის ხარჯზე, რომელსაც სახელმწიფო იძლეოდა დამზადებიდან.

მაგრამ უკვე 1932 წლიდან დაწყებული ფერმების ჯოგის შევსებაში სწრაფად იზრდება საკუთარი ნამატის წილი და ამავე დროს გადაჭარბებით სრულდება ხორცის ჩაბარების გეგმა (გარდა მეღორეობის ფერმებისა) და დახმარება ეწევა კოლმეურნეებს შეიძინონ პირუტყვი პირადი სარგებლობისათვის.

1934 წელს კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 220 ათასი ტონა ხორცი, დაახლოებით 1.400 ათასი ტონა რძე და 10.500 ტონა მატყლი.

1933-34 წელს ფერმებმა კოლმეურნეობებს მიყიდეს (განსაზოგადოებული ჯოგიდან მიყიდული პირუტყვის ჩათვლით) დაახლოებით 500 ათასი ხბო, 2 მილიონზე მეტი გოჭი და 200 ათასზე მეტი ბატკანი.

ამ სამმა გარემოებამ — ფერმების ჯოგის ზრდამ თავისი ნამატის ხარჯზე, სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა წარმატებით შესრულებამ და კოლმეურნეებისათვის დახმარებამ პირუტყვის შეძენაში, სავალდებულო ჩაბარების შეღავათებთან ერთად, რომლებსაც ღებულობენ ფერმების მქონე კოლმეურნეობათა წევრები, — საგრძნობლად შეუწყო ხელი ფერმების რიცხვის და მათში პირუტყვის სულადობის სწრაფ ზრდას.

ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც „ფერმების შექმნა თვითეულ კოლმეურნეობაში უნდა გადაიქცეს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების პირველი რიგის ამოცანად“. ივნისის პლენუმის შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმების რაოდენობა გადიდდა 34 პროცენტით, ხოლო პირუტყვის სულადობა მათში—10 პროც., მეღორეობის ფერმების—30 პროც., პირუტყვის სულადობა მათში—23 პროც., მეცხვარეობის ფერმების — 69 პროც., ხოლო სულადობა მათში—10 პროცენტით.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ პლენუმის დირექტივა ხორციელდება.

მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს. ჯერ კიდევ ყველა კოლმეურნეობას როდი აქვს სასაქონლო ფერმა.

1934 წლის დამლევისათვის 100 კოლმეურნეობაზე ჩვენ გვქონდა: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 44,4 ფერმა, მეღორეობის — 23,9 ფერმა, მეცხვარეობის — 16,3 ფერმა და მეცხენეობის—2 ფერმა.

1935 წელს ჩვენ უნდა მივაღწიოთ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შესრულებას, რომ თვითეულ კოლმეურნეობას ჰქონდეს ამა თუ იმ სახის პირუტყვის ფერმა.

ამასთან შეფარდებით, მეცხოველეობის 1935 წლის სახელმწიფო გეგმა ითვალისწინებს 70 ათასი ახალი ფერმის მოწყობას და მათში სულადობის გადიდებას: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის — 2,5 მილიონი სულით. ანუ 30 პროც., ღორების — 1.550.000 სულით. ანუ 43 პროც., ცხვრების — 2.200.000 სულით ანუ 18,6 პროცენტით.

ახალი ფერმების მშენებლობა და მათი სულადობის გადიდება კიდევ უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებს მუშაობის მეორე მხარეს — როგორც არსებული ფერმების, ისე იმ ფერმების ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცებას, რომლებიც ახლა ეწყობიან.

ფერმების ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცების უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს წარმოადგენს სიბერწის შემცირება და ახალგაზრდა პირუტყვის შენარჩუნება. დახოცვის შემცირების (ციფრები მე უკვე მოვიყვანე ზემოთ სიბერწის შემცირება გამოიხატება შემდეგ ციფრებში: 1932 წელს ნამატი მოგვცა ძროხების 76 პროცენტმა, მათი საშუალო წლიური რაოდენობიდან (უშობლების გარდა); 1933 წელს ნამატი მოგვცა ძროხების უკვე 91 პროც. და 1934 წელს—93 პროცენტმა.

ღორების მხრივ 1932 წელს ნამატი მოგვცა 58 პროცენტმა. დედაღორების საშუალო წლიური რაოდენობიდან; 1933 წელს—89 პროც., ხოლო 1934 წელს 106 პროცენტმა.

ცხვრების მხრივ შესაბამისად — 81 პროც., 86 პროც., და 91 პროცენტმა.

ისე როგორც ყოველგვარ სხვა საქმეს, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების განვითარების და განმტკიცების საკითხს სწყვეტენ ადამიანები. მსხვილი მეცხოველეობის მეურნეობის შექმნა ფერმების სახით კოლმეურნეთათვის ახალი საქმე იყო. იმისათვის, რომ აგვეთვისებინა იგი, საჭირო იყო სამი წლის განმავლობაში აგვემაღლებინა კოლმეურნეთა დიდი მასის კვალიფიკაცია.

ყოველგვარ კურსებზე და რაიონულ საკოლმეურნეო სკოლებში მომზადებულ იქნა ფერმის 87 ათასი გამგე, მეცხოველეობის 140 ათასი ბრიგადირი, მეცხოველეობის 25 ათასი ტექნიკოსი, 63 ათასი ვეტერინარი, 28 ათასი მეღორე, 33 ათასი სილოსის და საკვების დარგის მუშაკი, 102 ათასი მწველელი, 11 ათასი მეხბორე, მწყემსი და ჩობანი, სულ 1932-34 წლებში მომზადებულ იქნა დაახლოებით 500 ათასი კაცი.

ყოველივე იმის გამოსაყენებლად, რის მოცემაც სასაქონლო ფერმას შეუძლია, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შრომის რაციონალიზაციის და განსაკუთრებით მექანიზაციის საკითხს, თუნდაც იგი უაღრესად პრიმიტიული მეთოდებით წარმოებდეს.

საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმა წარმოადგენს კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს და ერთ-ერთ უძლიერეს იარაღს კოლმეურნეობის განსამტკიცებლად და მისი სიმდიდრის გასაძლიერებლად.

ამხ. სტალინის ლოზუნგის განსახორციელებლად იმის შესახებ, რომ ყველა კოლმეურნე შეძლებული გახდეს, — ფერმების შექმნას კოლმეურნეობებში, სადაც ისინი არ არიან, და როგორც ძველი, ისე ახალი ფერმების განვითარებას და განმტკიცებას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ფერმის შემოსავალს კოლმეურნეობის საერთო შემოსავალში, თუ ფერმა ჯანსაღ საფუძველზეა დაყენებული და კოლმეურნეობის გამგეობა უზრუნველყოფს მისთვის ყველა პირობას, რაც საჭიროა მისი განვითარებისათვის, ძალიან დიდი ადგილი უჭირავს.

ჩვენი ამოცანები უახლოესი დროისათვის ფერმების განმტკიცების საქმეში ასეთია:

ა) გულდასმით შევამოწმოთ იმ ადამიანთა შემადგენლობა, რომლებიც მომსახურეობას უწევენ ფერმას, ყოველნაირად დავაწინაუროთ უფრო პასუხსაგებ სამუშაოზე და ფართოდ დავაჯილდოვოთ სოციალისტური მეცხოველეობის საუკეთესო დამკვრელები, რომლებიც იძლევიან მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს ახალგაზრდა პირუტყვის შენარჩუნების და გამოზრდის, აგრეთვე ჯოგის პროდუქტიულობის გაძლიერების საქმეში, ამასთან დაუზოგავად განვდევნოთ ფერმებიდან ზარმაცები, სამუშაო დღის გამცდენები, ისეთი ადამიანები, რომლებიც არაკეთილსინდისიერად ეპყრობიან თავის მოვალეობას პირუტყვის მოვლის მხრივ და ძირს უთხრიან საკოლმეურნეო მეცხოველეობას;

ბ) უზრუნველვყოთ მთავრობის მიერ დაწესებული იმ დებულების უცილობლად შესრულება, რომელიც გულისხმობს საკოლმეურნეო მეცხოველეობის ბრიგადირების და ფერმების გამგეების მიმაგრებას მათ სამუშაოზე სულ ცოტა ორი წლის ვადით მაინც, ამასთან არავითარ შემთხვევაში არ დავუშვათ მეცხოველეობის ბრიგადირების, ფერმების, გამგეების, რომლებიც მომსახურებას უწევენ ფერმებს, გადაყვანა და გამოყენება სხვა სამუშაოებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მეცხოველეობასთან;

გ) ნამდვილად გავატაროთ ცხოვრებაში დებულება ფერმებში შრომის ხელფასის ორგანიზაციის და მისი მტკიცე სანარდო სისტემის საფუძველზე ანაზღაურების შესახებ, შემოვიღოთ მწველელების, პირუტყვის მომვლელების, მეღორეების და ჩობანების სოციშეჯიბრება და ნატურალური დაჯილდოვება კარგი მუშაობისათვის.

დ) უზრუნველვყოთ საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმები პირუტყვის სადგომებით და აუცილებელი მოწყობილობით;

ე) მთლიანად უზრუნველვყოთ ფერმების ჯოგი საკვებით, უხეში, ნოყიერი და კონცენტრირებული საკვებით;

ვ) მტკიცედ შევასრულოთ პირუტყვის შენახვის და მოვლის ზოოტექნიკური და ვეტერინარული წესები ფერმებში;

ზ) მოვაწყოთ პირუტყვის გულდასმითი აღრიცხვა ფერმებში და არ დავუშვათ ფერმების ჯოგის განიავება, ფერმების ჯოგის პროდუქციის და სულადობის უკონტროლო ხარჯვა;

თ) უზრუნველვყოთ ფერმების მიერ სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარების ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და წესიერი შესრულება.

მოვსპოთ უძროხობა, განვავითაროთ ინდივიდუალური სარგებლობის ჯოგი

მეცხოველეობაში სოციალისტური სექტორის სწრაფი ზრდის მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში ჯერ ისევ ჭარბობს კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა ჯოგი. კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა პირად სარგებლობაში 1934 წლის 1 ივლისისათვის ითვლებოდა 26,5 მილიონი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ანუ 62,4 პროც. 28 მილიონი ცხვარი და თხა, ანუ 54 პროც., და 8,1 მილიონი ღორი. ანუ 45,6 პროც., 1934 წელს კოლმეურნეთა მეცხოველეობა საგრძნობლად გაიზარდა. 1933 წლის ივნისში კოლმეურნეებთან ითვლებოდა 4,9 მილიონი ხბო. 1934 წ. 6,1 მილიონი; გოჭი ოთხი თვემდე: 1933 წელს 2,2 მილიონი, 1934 წელს 3,4 მილიონი; ბატკანი და თიკანი: 1933 წელს — 8,7 მილიონი. 1934 წელს — 9,0 მილიონი. მიუხედავად ამისა, უძროხო კოლმეურნეთა რაოდენობა საბჭოთა კავშირში ამჟამადაც, ივლისის აღრიცხვის მონაცემთა მიხედვით, შეადგენს 40,5 პროც. წლის დასასრულისათვის უძროხო კოლმეურნეთა რიცხვი იქნება დაახლოებით 32 პროც.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ივნისის პლენუმმა დააყენა ამოცანა — მოვსპოთ უძროხობა კოლმეურნეებთან უახლოესი ორი წლის განმავლობაში. უკვე გასულ წელს უძროხო კოლმეურნეებმა სახელმწიფოსაგან სერიოზული დახმარება მიიღეს ძროხის შეძენის მხრივ.

1933 წლის დასასრულს და 1934 წელს კოლმეურნეებთან კონტრაქტაციის გზით და ფერმებში შესყიდვის გზით უძროხო კოლმეურნეებს დაურიგდა დაახლოებით 1,5 მილიონი ხბო და 2 მილიონზე მეტი გოჭი. 1934 წლის მეორე ნახევარში და 1935 წლის პირველ კვარტალში უძროხო კოლმეურნეებისათვის გადასაცემად დაკონტრაქტებულ უნდა იქნას 2 მილიონი სული დეკეული. გარდა ამისა, 1935 წლისათვის დასახულია გეგმა. რომ საბჭოთა მეურნეობებიდან და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებიდან გაიყიდოს 470 ათასი ხბო, 2.950 ათასი გოჭი და 700 ათასი ბატკანი.

საბჭოთა კავშირის ოლქების უდიდეს ნაწილს, კერძოდ ეგრეთწოდებული სამომხმარებლო ზოლის ყველა ოლქს, დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირს, სვერდლოვსკის ოლქს, თათარეთის ა. ს. ს. რესპუბლიკას და ბაშკირეთის ა. ს. ს. რესპუბლიკას, აქვთ სრული შესაძლებლობა მთლიანად მოსპონ უძროხობა კოლმეურნეთა შორის უკვე 1935 წელს, ხოლო დანარჩენ ოლქებს—1936 წ. განმავლობაში.

სახელმწიფო კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ მეურნეებს უდიდეს შეღავათებს აძლევს, რომ წაახალისოს მათ მიერ ახალგაზრდა პირუტყვის მოშენება.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომლის გადაჭრაზე დამოკიდებულია კოლმეურნეთა ჯოგის მოშენება, არის მწარმოებლებით უზრუნველყოფა, ბოლოს, დახმარების გაწევა კოლმეურნეებისა და ერთპიროვნულ მეურნეებისათვის ვეტერინარულ-ზოოტექნიკური მომსახურების მხრივ.

ყველა ჩამოთვლილი ღონისძიების გატარება სამიწათმოქმედო ორგანოებისაგან, სოფლის საბჭოებისა და კოლმეურნეობათა გამგეობებისაგან მოითხოვს მუშაობის ძირფესვიანად გარდაქმნას მეცხოველეობის დარგში. აქ საჭიროა ყოველდღიური, ზუსტი ხელმძღვანელობა და შესრულების გულდასმით შემოწმება.

მეცხოველეობის ყველა დარგიდან ყველაზე უფრო ჩამორჩება მეცხენეობა და მეცხვარეობა. როგორც უკვე ვილაპარაკე, 1934 წლის პირველი ივლისისათვის, 1933 პირველ ივლისთან შედარებით, ცხენების სულადობა შემცირდა 5,5 პროც. და ცხვრების სულადობა გადიდდა 3,4 პროც., 1934 წლის ივლისიდან 1935 წლის იანვრამდე, 1933 წ. ივლისიდან 1934 წლის იანვრამდე გასულ პერიოდთან შედარე-

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

---

*) იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამით.

ამხ. მ. ა. ჩერნოვის მოხსენების გაგრძელება

ბით, ამ დარგებშიც არსებითი ცვლილება მოხდა, მისი რაობა მდგომარეობს იმაში, რომ 1934 წლის შემოდგომაზე შენარჩუნებულ იქნა გაცილებით მეტი ახალგაზრდა პირუტყვი — ცხენიც და ცხვარიც. ამიტომ, თუ შევადარებთ სულადობის მდგომარეობას 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით, გამოდის რომ საკოლმეურნეო — გლეხურ სექტორში ცხენების რაოდენობა შემცირდა მხოლოდ 3 პროც., ხოლო ცხვრების რაოდენობა საკოლმეურნეო - გლეხურ სექტორში გაიზარდა 11 პროც., ამასთან ზრდა კოლმეურნეობებში შეადგენს 18 პროც. ეს ცნობები გვიჩვენებენ, რომ მეცხენეობის დაცემის პერიოდმა განვლო, და ჩვენ უკვე მივაღწიეთ ცხენების სულადობის სტაბილიზაციას. ხოლო ცხვრების მხრივ გვაქვს დიდი ზრდა.

მაგრამ ყოველივე ეს ჩვენ ოდნავადაც ვერ დაგვაკმაყოფილებს.

ბოლო მოვუღოთ დაუდევარ დამოკიდებულებას ცხენისადმი

ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ ფაქტს, რომ 1930 წლიდან დავკარგეთ ცხენთა სულადობის თითქმის ნახევარი, ე. ი. 14 მილიონზე მეტი ცხენი.

მდგომარეობა მეცხენეობაში კვლავ არადამაკმაყოფილებელია თუ არა დანაშაულებრივი დაუდევრობით, უდარდელობით და ცხენისადმი უყურადღებობით, მთავრობის და პარტიის დადგენილებებისადმი ფორმალური დამოკიდებულებით. რით შეიძლება აიხსნას ის, რაც ცხენის გარშემო ხდება მოვიყვან შემდეგ ციფრებს: 1933 წელს დაგრილებულად ირიცხებოდა 3.170 ათასი დედა-ცხენი, მათგან დაიბადა 1934 წ მხოლოდ 1.097 ათასი კვიცი.

რაშია აქ საქმე, ამხანაგებო? აქ საქმე, ჯერ ერთი, მდგომარეობს იმაში, რომ უკონტროლობის გამო ჩვენ ციფრებით დაგრილებული დედაცხენების რაოდენობის შესახებ ამ წლებში პირდაპირ გვატყუებდენ ნამდვილად კი დედა-ცხენების ასეთი რაოდენობა არ ყოფილა დაგრილებული. მეორეც იმაში, რომ დედაცხენებს, რომლებიც ფაქტიურად დაგრილებული იყვნენ და რომელთაც კვიცები ვერ მოგვცეს, მუცელი მოწყდათ დაუდევარი მოპყრობის გამო. ეს ორი გარემოება, რომლებმაც გამოიწვიეს ის განსაცვიფრებელი განსხვავება ციფრებში.

მკვეთრი შეუფარდებლობა კვიცის მოგებასა და დაგრილებული დედაცხენების რაოდენობას შორის საგრძნობლად აიხსნება იმით, რომ მეჯინიბეთათვის შრომადღეების დარიცხვის თვით სისტემა არ ქმნიდა მეჯინიბის დაინტერესებას დედაცხენის დროული დაგრილებისა და, კვიცის მოგებისათვის ხელისშეწყობაში. ც. კ-ის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებასთან შეფარდებით, ეს სისტემა შეიცვალა, შრომადღეები მეჯინიბეს დაერიცხება კვიცის მოგების და მისი გამოზრდის მიხედვით.

თუ აბორტების საოცარი რაოდენობის და საერთოდ ესოდენ მცირე შობადობის ძირითადი მიზეზი მდგომარეობს მხოლოდ უხეირო მოვლაში და დედაცხენისადმი პირდაპირ ბარბაროსულ მოპყრობაში, ესევე შეიძლება ითქვას ცხენის მთელი სულადობის მდგომარეობის შესახებაც. საქმე მხოლოდ ცხენისადმი დამოკიდებულებაა: უხეირო მოვლა, უხეირო შენახვა, უხეირო კვება, ზედმეტი ექსპლოატაცია, ამასთან ძალიან ხშირად სრულიადაც არასაწარმოო მიზნებისათვის.

მთელი რიგი ოლქების და რაიონების პრაქტიკა მაინც გვიჩვენებს, რომ ცხენს უკვე სხვანაირად ეკიდებიან და შედეგებსაც სხვანაირს ღებულობენ.

კურსკის ოლქმა შარშანდელი წლის განმავლობაში დაკარგა დაახლოებით ცხენების 15 პროც. მაგრამ ამ ოლქშიაც მოიპოება ისეთი კოლმეურნეობები, როგორიც, მაგალითად, კოლპნინსკის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი ვოინი", რომელშიაც ოთხი წლის განმავლობაში 66 ცხენიდან მოკვდა მხოლოდ ერთი, ამ ხნის განმავლობაში 11 ცხენი გაჰყიდეს ხაზინას, აქედან სამი გადასცეს მუშურ - გლეხური წითელარმიის ფონდში. ყველა ცხენი საშუალო და საშუალოზე მეტი სიმსუქნისაა დაგრილების კამპანიის გეგმა მთლიანად შესრულდა. ეს აიხსნება ძალიან მარტივად: აქ ცხენს ყურადღებას აქცევენ. მასზე ზრუნავენ. ცხენებისათვის აქვთ გამთბარი თავლები, კვიცების მოსაგები სადგომები, ცხენები სავსებით უზრუნველყოფილი არიან საკვებით. რასაკვირველია, ცხენის სულადობის შემცირება არ შეიძლება მოხდეს კლასობრივი მტრის დაუხმარებლად, მაგრამ კლასობრივ მტერს 1934 წელს შეეძლო წამოეყო თავი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ყველა ისინი ვისაც ასე უყვარდა მითითება კლასობრივ მტერზე, პირდაპირ ხუჭავს თვალს და საშუალებას აძლევს კლასობრივ მტერს აკეთოს ის, რაც მას სურს: დააყენოს ცხენთან თავისი კაცები და მათი მეშვეობით გაანიავოს საკვები, მოაცილოს თავლებს კედლები და სახურავები, იყოლიოს ცხენები ჭუჭყში, არ დაიცვას არავითარი რეჟიმი, დაარღვიოს კვების, წყლის დალევინების და მუშაობის ელემენტარული წესები და ამით მიაღწიოს თავის მიზანს. მეცხენეობის საქმეში სასიხარულო ფაქტს 1934 წლისათვის წარმოადგენს ის, რომ ერთი წლის ასაკამდე კვიცების რიცხვი 1934 წლის პირველ ივლისისათვის, 1933 წლის 1 ივლისთან შედარებით, გაიზარდა 37,2 პროცენტით და მთელი ახალგაზრდა პირუტყვის — 12,4 პროცენტით. ახალგაზრდა პირუტყვის ზრდაში მდგომარეობს იმის ძირითადი პირობა, რომ უკვე 1935 წელს უზრუნველვყოთ მეცხენეობის აღმავლობა. 1935 წლის სახელმწიფო გეგმა ითვალისწინებს ცხენების სულადობის გადიდებას 1.400 ათასით, სულ ცოტა 2.055 ათასი კვიცის მიღებას და მთლიანად შენარჩუნებას.

საანგარიშო პერიოდში დიდი მუშაობა ჩატარდა საკოლმეურნეო მეცხენეობის ორგანიზაციის საქმეში. სამი წლის განმავლობაში მეცხენეობის სასაქონლო ფერმების რიცხვი გაიზარდა 294 პროცენტით, ხოლო სულადობა მათში — 244 პროცენტით.

ამჟამად საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმები ფლობენ კოლმეურნეობათა ჯიშიანი და გაუმჯობესებული ცხენის სულადობის ძირითად მასას. მაგრამ ახდენენ რა ცხენების საუკეთესო სულადობის კონცენტრაციას, მეცხენეობის ფერმები ჯერ კიდევ ცუდად იყენებენ თავის ჯოგებს გაფართოებული რეპროდუქციის მიზნებისათვის.

მეცხენეობის ფერმებმა დღემდის ვერ შესძლეს მოეწყოთ ფაშატების შენახვა, მათი სწორად გამოყენება სამუშაოზე. არასრული ცნობებით, 1934 წელს აბორტირებულ იქნა 1933 წელს დაგრილებული ფაშატების 3,7 პროცენტი, ამასთან აბორტი ცენტრალურ შავმიწადაგიან ოლქში უდრიდა 18,9 პროც., აზერბეჯანში 9,6 პროც. ლენინგრადის ოლქში — 6,6 პროცენტს.

მეცხენეობის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებს შორის მოიპოება ისეთი ფერმებიც, რომლებიც იძლევიან მეურნეობის ორგანიზაციის ნიმუშს.

კომუნა კრასნოსლავიანსკაია (დასავლეთ ციმბირი), იურგმიშის საკოლმეურნეო ცხენთსაშენი (ჩელიაბინსკის ოლქი), პირველი მაისის სახელობის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმა (კურსკის ოლქი), „ზარია" (კურსკის ოლქი) — იძლევიან ისეთ პროდუქციას, რომელიც არამც თუ არ ჩამოუვარდება სახელმწიფო ცხენსაშენების პროდუქციას, არამედ წარმატებით უწევს მათ კონკურენციას. როგორც მეცხენეობის მასობრივი გაუმჯობესების მხრივ, ისე საბჭოთა კავშირის ცენტრალურ იპოდრომებზე გამოსვლებშიც. მაგრამ ასეთი ფერმები ჯერ კიდევ უმცირესობას შეადგენენ. უმრავლესობაში საქმე ცუდადაა.

1935 წლისათვის მეცხენეობის სასაქონლო ფერმების რიცხვი აყვანილ უნდა იქნას 8.519-დე, ხოლო სულადობა მათში 478 ათას სულამდე.

მეცხენეობის სასაქონლო ფერმების მუშაობის მეტი კონკრეტიზაციის, მათი უკეთესი სამეცნიერო - ტექნიკური მომსახურების და ხელმძღვანელობის მიზნით 1935 წლიდან ეწყობა სახელმწიფო საჯიშეები სულ განზრახულია ხუთი სახელმწიფო საჯიშის მოწყობა.

ჩვენი მეცხენეობის ხარისხობრივ გაუმჯობესების საქმეში დიდ როლს თამაშობენ სახელმწიფო საქარხნო თავლები. ამჟამად საბჭოთა კავშირში მათი რიცხვი უდრის 111-ს 6.327 [illegible] — მწარმოებლებით, რომელთა შორის შეგროვილია საუკეთესო ნიმუშები.

სახელმწიფო საქარხნო თავლებთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა ცხენთსაშენების რიცხვი. 1933 წლის 1 იანვრისათვის საბჭოთა კავშირში იყო სულ 26 ცხენთსაშენი 7.033 სულადობით; 1935 წლის 1 იანვრისათვის ჩვენ გვაქვს 100 ცხენთსაშენი 104.610 ცხენით.

მეცხენეობის გაუმჯობესებისათვის არავითარი სასწაული არ არის საჭირო, საჭიროა მხოლოდ ცხენის მოვლის უაღრესად ელემენტარული წესების დაცვა. პირველი — ეს არის მისი სუფთად შენახვა. მეორე — მისი უზრუნველყოფა საკვებით. მესამე, და რაც მთავარია საკვების სწორად დამზადება და მიწოდება. მეოთხე — ცხენის რეჟიმი მუშაობის დროს, განსაკუთრებით კვიციანი ცხენის რეჟიმი.

ბევრი ითქვა მეჯინიბეზე, იმაზე, რომ ისინი უნდა იყვნენ განსაკუთრებით შემოწმებული ადამიანები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ადამიანების შემოწმებას, მათ შერჩევას ყურადღებას არ აქცევენ ძალიან საჭიროა, რომ რაიმიწგანის გამგემ, რაიაღმასკომის თავმჯდომარემ და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ თვითონ პირადად კოლმეურნეობების ჩამოვლის დროს წესად შემოიღონ. პირველ რიგში, ცხენის სულადობის მდგომარეობის შემოწმება. იმის შემოწმება, თუ რა ხდება თავლაში, როგორ მდგომარეობაშია ცხენი მუშაობის დროს.

მეცხვარეობა და მეთხეობა უნდა გადაიქცეს მაღალშემოსავლიან დარგებად

სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციის წლებში ყველაზე უფრო მეტად მეცხვარეობა დაზარალდა. 1926 წელს ცხვრების სულადობა უდრიდა 140.098 ათას. შემდეგ იგი თანდათან შემცირდა და 1933 წელს დავიდა 55.223 ათასამდე. 1934 წლის 1 ივლისისათვის, 1933 წლის 1 ივლისთან შედარებით საერთოდ მთელ საბჭოთა კავშირში ცხვრების და თხების სულადობა 3,4 პროცენტით გაიზარდა.

პირუტყვის სულადობის სუსტი ზრდა 1934 წელს ერთგვარად აიხსნება იმით, რომ ახლა, შეიძლება, ითქვას ცხვარი იწევს სხვა სახის პირუტყვის მაგიერობას — კოლმეურნეები და ერთპიროვნული მეურნეები სავალდებულო ჩაბარების ხაზით პირველ რიგში ცხვარს აბარებენ. ამ გარემოებას თითქოს უნდა აეძულებია ისინი გაძლიერებული ყურადღება მიექციათ ცხვრისათვის. მაგრამ ჩვენი მუშაკები დღემდე არ აქცევენ ცხვარს ყურადღებას. ცხვრის მიმართ განმტკიცდა ისეთი შეხედულება, რომ ეს ისეთი ცხოველია, რომელმაც უნდა მოგვცეს მატყლიც, ქურქიც, ხორციც, რძეც ყველისათვის, მაგრამ თავისთვის მან ყველაფერი თვითონ უნდა იშოვოს. ასეთი შეხედულების შედეგად, ცხვარი, რომელიც საჭიროებს მოვლას და განსაკუთრებით დაცვას ყოველგვარი დაავადებისაგან — უპატრონოდაა მიტოვებული, ჯოგი არ არის ორგანიზებული. ცხვრებს შორის გავრცელებულია ავადმყოფობა. ავადმყოფობისაგან იღუპება დიდძალი ახალგაზრდა და მოზრდილი ცხვარი.

ამავე დროს საჭიროა მხოლოდ ოდნავ სერიოზული ყურადღება მივაქციოთ ცხვარს, რომ ეფექტი დიდი მივიღოთ.

მოვიყვან მაგალითს ჩრდილოეთ-კავკასიის მოზდოკის რაიონიდან. იმ დროს, როცა იმავე ჩრდილოეთ კავკასიაში ცხვრის სულადობა ყველგან განუწყვეტლივ მცირდებოდა — ამ რაიონში იგი იზრდებოდა. 1931 წელს ცხვრების სულადობამ 56 ათას სულს მიაღწია და ეს იმ დროს, როცა 1930 წელს იგი 33 ათასს უდრიდა, ე. ი. ზრდა 70 პროც., 1932 წელს ცხვრების სულადობა გადიდდა 61 ათასამდე, ანუ 184 პროცენტით, 1931 წელს—63 ათასამდე ანუ 190 პროცენტით, და 1934 წელს 82 ათასამდე ანუ 250 პროცენტით (1930 წლის მიმართ).

ახალგაზრდა პირუტყვის შენარჩუნება 1934 წლის შემოდგომაზე მოწმობს იმას, რომ მეცხვარეობაში უკვე მოიპოება ყველა წანამძღვარი შემდგომი სწრაფი აღმავლობისათვის. თუ 1928 წელს 100 მოზრდილ ცხვარსა და თხაზე მოდიოდა 72,5 ბატკანი და ციკანი, 1934 წელს 100 ცხვარსა და თხაზე უკვე მოდიოდა 79,8 ბატკანი და ციკანი. ამასთან ცალკეულ ოლქებში ეს განსხვავება კიდევ უფრო დამახასიათებელია: ყირგიზეთში 1928 წელს 39,6, ხოლო 1934 წელს — 67,4, უკრაინაში 1928 წელს 68,3, ხოლო 1934 წელს 72,4. კიდევ უფრო თვალსაჩინოა ახალგაზრდა პირუტყვის ხვედრითი წონის ზრდა მეცხვარეობის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში, სადაც ცხვრების საერთო სულადობის ზრდაც უფრო საგრძნობია.

ჩვენი ცხვრის ჯოგი ძირითადად შესდგება უჯიშო, უხეშმატყლიანი ცხვრებისაგან. ჯიშიანი პირუტყვის აღრიცხვის მონაცემთა მიხედვით, 61 მილიონ სულზე მოდის დაახლოებით მხოლოდ 6 მილიონი წმინდა ჯიშის და მეტისის ცხვარი. ფართოდ უნდა გავავრცელოთ მეტიზაცია, მით უფრო, რომ ხელოვნურმა განაყოფიერებამ, რომელიც სულ ამ ცოტახნის წინათ დაიწყო, უკვე ფეხი მოიკიდა გლეხობაში; იგი საუკეთესო შედეგებს იძლევა, განსაკუთრებით საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში, სადაც ბატკნების მოგება 100 დედაცხვარზე სულ 2—3 პროცენტით არის ნაკლები დაგრილების დროს მიღებულ შედეგებზე.

1934 წლიდან მეთხეობა კვლავ აღმავლობის ხანაში შევიდა; თხების სულადობა, რომელიც 1928 წლის 12.900 ათასიდან 1932 წელში 3.648.000-მდე შემცირდა, 1934 წლის ივლისისათვის გაიზარდა 5.076 ათასამდე.

ფრინველი და კურდღელი სწრაფად ავსებენ ხორცის რესურსებს, გვინარჩუნებენ მსხვილფეხა პირუტყვს

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ივნისის პლენუმმა ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციის განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმაზე, რომ აუცილებლად საჭიროა ყოველნაირად შეეწყოს ხელი მეფრინველეობის განვითარებას კოლმეურნეებთან და ერთპიროვნულ მეურნეებთან, მეფრინველეობა და მეკურდღლეობა ახლაც უდიდეს როლს თამაშობენ ხორცის რესურსების შევსებაში, აგრეთვე პროდუქციის მიღებაში — კვერცხისა ფრინველიდან და ტყავისა კურდღლებიდან.

მეორე ხუთწლედის დასასრულისათვის დასახულია გეგმა, რომ ფრინველის სულადობა აყვანილ იქნას 300 მილიონამდე და დედაკურდღლებისა — 17 მილიონამდე. თუ რა მნიშვნელობა აქვს უკვე ახლა მეფრინველეობას და მეკურდღლეობას, ჩვენი ხორცის რესურსების შევსებაში, ამას შემდეგი ცნობები გვიჩვენებს: რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში 1933 წელს ხორცის ჩაბარების ხაზით მივიღეთ 50 ათასი ცენტნერი ფრინველის ხორცი, ხოლო 1934 წელს უკვე — 137 ათასი ცენტნერი; კურდღელი 1933 წელს ჩაბარებულ იქნა 16.500 ცენტნერი, 1934 წელს—34.400 ცენტნერი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეფრინველეობის განვითარებას კოლმეურნეებთან და ერთპიროვნულ მეურნეებთან. ამისათვის აუცილებლად საჭიროა გამოვიყენოთ, კერძოდ, არსებული მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობანი და მეფრინველეობის ფერმები, როგორც წყაროები კოლმეურნეებისათვის ჯიშიანი ფრინველის მისაყიდად, აგრეთვე ფართოდ გავშალოთ საინკუბატორო სადგურების მუშაობა წიწილების მოსაშენებლად და მით კოლმეურნეების მოსამარაგებლად.

აუცილებლად საჭიროა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ არსებული მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობანი და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმები, როგორც ბაზა ჯიშიანი მეფრინველეობის განსავითარებლად.

ამჟამად ჩვენ გვაქვს დაახლოებით 10 ათასი საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმა, სადაც არის 3.800 ათასი ფრინველი; 1935 წელს გეგმის მიხედვით ფრინველის რაოდენობა ფერმებში აყვანილ უნდა იქნას 5.800 ათასამდე.

ცალკეულ რაიონებში მეფრინველეობის ფერმებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჯიშიანი ფრინველი უკვე საკმაო რაოდენობით აქვთ. მაგალითად, აზოვ-შავი ზღვის მხარის საბჭოთა მეურნეობებში ჯიშიანი ფრინველის რაოდენობა შეადგენს მთელი არსებული ფრინველის 50 პროც., მეფრინველეობის ფერმებიდან უკვე 1934 წელში კოლმეურნეებს მიეყიდა ერთ მილიონზე მეტი ჯიშიანი ახალგაზრდა ფრინველი. შემდეგში ეს მუშაობა ყოველნაირად უნდა გაფართოვდეს.

მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობებიც თვალსაჩინო წყაროს წარმოადგენენ კოლმეურნეთა შორის ჯიშიანი ფრინველის გასავრცელებლად. საბჭოთა კავშირში ითვლება 93 მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა, სადაც დედაფრინველის სულადობა შეადგენს 935 ათასს. აქედან რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში ირიცხება წმინდა ჯიშის—ლეგორნის და როდ-აილანდის ჯიშის ფრინველი 56 პროც., მეტისი 33 პროც. და უჯიშო მხოლოდ 11 პროც.

მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობებმა რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში 1934 წელს კოლმეურნეობებს გადასცეს ნახევარი მილიონი ჯიშიანი ფრინველი და სამ მილიონზე მეტი საჯიშე კვერცხი. 1935 წელს მეფრინველეობის ყველა საბჭოთა მეურნეობა კოლმეურნეობებს და კოლმეურნეებს გადასცემს 2 მილიონ ჯიშიან წიწილას და 7 მილიონ საჯიშე კვერცხს.

1935 წელს ჩვენი ამოცანაა ისე დავაყენოთ მუშაობა მეფრინველეობის დარგში, რომ თვითეულ კოლმეურნეს ჰყავდეს სულ მცირე 10—15 კვერცხმდები ფრინველი საბჭოთა კავშირის სამხრეთ რაიონებში და სულ მცირე 8—10 კვერცხმდები ფრინველი საბჭოთა კავშირის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ზოლში.

მეფრინველეობის ფერმების და მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობების ამოცანაა — უმოკლეს ვადაში შესცვალონ უჯიშო ფრინველი კოლმეურნეებთან და ერთპიროვნულ მეურნეებთან ჯიშიანი ფრინველით.

მეჯიშეობის საქმე მეცხოველეობის ხარისხობრივი აღმავლობის საფუძველია

საბჭოთა კავშირის მეცხოველეობა ხარისხობრივად ჯერ კიდევ მეტად დაბალ დონეზე დგას. ძროხების წველადობა საშუალოდ შეადგენს დაახლოებით 1000 ლიტრს წელიწადში, მაშინ, როცა ჯიშიანი ძროხები იძლევიან 3500 ლიტრამდე, ხოლო ცალკეული რეკორდისტი ძროხები — 6—7 და 10 ათასამდე ლიტრსაც კი.

გასაკრეჭ მატყლს უხეშმატყლიანი ცხვრებისაგან, რომლებიც ჩვენში ჭარბობენ, ვღებულობთ 1,5—1,8 კილოგრამს, მაშინ როცა, მერინოსი იძლევა 5,6 კილოგრამს. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ცოცხალი წონა ჩვენში უდრის დაახლოებით 245-დან 300 კილოგრამამდე, მაშინ როცა ჯიშიანი პირუტყვი იწონის 600, და 900-მდე კილოგრამსაც კი.

აქედან ცხადია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჯოგის ნაყოფიერების ასაწევად მეჯიშეობის საქმეს თუ წინათ მეცხოველეობის ხარისხობრივი აღმავლობის საკითხის გადაჭრას აფერხებდა წვრილდაქსაქსული გლეხური მეურნეობა, ახლა საბჭოთა მეურნეობების მოწყობასა და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების უზარმაზარ ზრდასთან დაკავშირებით, შექმნილია ყველა პირობა ჩვენი მეცხოველეობის ხარისხობრივი აღმავლობისა და გაუმჯობესებისათვის. მეჯიშეობის საქმის სწორი მოწყობა, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს ჯიშიანი და გაუმჯობესებული პირუტყვის არსებული რესურსების ცოდნას.

თვით 1934 წლამდე მეჯიშეობის დაგეგმვის უქონლობა იწვევდა სტიქიურობას და ხშირად პირუტყვის ცალკეული ჯიშების არასწორ განაწილებას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. 1934 წელს ასეთი გეგმა დაწესებულ იქნა. ამით მტკიცე ბაზა შეიქმნა მუშაობის მოგვარებას მეჯიშეობის დარგში.

ერთერთ უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციულ ღონისძიებას მეჯიშეობის საქმის განსავითარებლად წარმოადგენს სახელმწიფო საჯიშეები.

ც. კ-ის ივნისის პლენუმმა სამიწათმოქმედო ორგანოების და ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების წინაშე დასვა ამოცანა — გადააქციონ სახელმწიფო საჯიშეების რაიონები ხანიმუშო მეცხოველეობის რაიონებად. ეს ამოცანა ჩვენ უკვე 1935 წელს უნდა შევასრულოთ.

მეჯიშეობის დარგში მუშაობის სერიოზულ უბანს წარმოადგენს საჯიშე საკოლმეურნეო ფერმები. საჯიშე საკოლმეურნეო ფერმების მოწყობას საფუძველი ჩაეყარა 1932 წელს. ამ დროიდან მოეწყო 3.000 ფერმა, სადაც მსხვილფეხა პირუტყვის სულადობა შეადგენს 198 ათასს, ცხვრების რაოდენობა—196 ათასს და დედალორებისა—26 ათასს.

სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულია 1935 წელს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საჯიშე ფერმების რაოდენობა აყვანილ იქნას 3.140-მდე და პირუტყვის სულადობა მათში—323 ათასამდე (ზრდა 66 პროც.), მეცხვარეობის საჯიშე ფერმების რაოდენობა—724-მდე და სულადობის რაოდენობა მათში — 313 ათასამდე (ზრდა 60 პროც.), ღორების საჯიშე ფერმების რაოდენობა—2.566-მდე და ღორების რაოდენობა მათში — 157 ათასამდე (ზრდა 80 პროც.).

უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული ამოცანაა უმოკლეს ვადაში შევცვალოთ უჯიშო პირუტყვი საჯიშე საკოლმეურნეო ფერმებში წმინდა ჯიშის და მეტისის პირუტყვით.

ჯიშიანი პირუტყვის მოშენების საქმის განვითარებაში მეორე ბერკეტს წარმოადგენენ ჯიშიანი პირუტყვის საბჭოთა მეურნეობანი, ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილების თანახმად მიწსახკომს გადაეცა საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის 66 ჯიშიანი პირუტყვის საბჭოთა მეურნეობა.

ასეთია ჩვენი ჯიშების რესურსები. როგორ მოვეპყრათ ამ რესურსებს იმისათვის, რომ უმოკლეს ვადაში მივიღოთ უდიდესი ეფექტი?

აქ ძირითად საშუალებას წარმოადგენს უჯიშო პირუტყვის მეტიზაცია ჯიშიან მწარმოებლებთან. სწორედ უჯიშო პირუტყვის მეტიზაცია იძლევა ყველაზე უფრო სერიოზულ ეფექტს უჯიშო პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდაში.

თუ უჯიშო, უხეშბეწვიანი ცხვარი წლიურად იძლევა ერთნახევარ კილოგრამ მატყლს, უხეშბეწვიანი ცხვრის მეტისი რამბულიესთან უკვე პირველ გენერაციაში იძლევა ორნახევარ კილოგრამ მატყლს და ცოცხალი წონა უდრის 45—50 კილოგრამს.

უჯიშო ცხვრის მეტისი „პრეკოსის" ჯიშთან იძლევა 2 კილოგრამ მატყლს და 50—60 კილოგრამს ცოცხალ წონას.

1935 წლისათვის საბჭოთა კავშირის მიწსახკომს განზრახული აქვს 6 მილიონი ცხვრის, 5 მილიონ-

დასასრული იხ. მე-3 გვ.

ქ. ორაგველიძე

კულაკური ახალგაზრდობის დეკლარაცია

კომუნისტური პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევდა და აქცევს საბჭოთა მწერლობის განვითარებას ეს გასაგებია, რადგან საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის მნიშვნელობა ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში მეტად დიდია. ეს მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება მეორე ხუთწლედში, როდესაც ჩვენს წინაშე დასახულია უდიდესი ისტორიული ამოცანა — დაძლევა კაპიტალიზმის ნაშთებისა როგორც ეკონომიკაში ისე ადამიანთა შეგნებაში.

შემთხვევითი როდი იყო ის გარემოება, რომ პარტიის ბელადმა ამხ. სტალინმა მწერალს უწოდა „სულის ინჟინერი", დიახ, ის სულის ინჟინერია, ის უდიდეს ზეგავლენას ახდენს თავისი მხატვრული ნაწარმოებით ფართო მასების შეგნებაზე.

აქედან აშკარაა, თუ რა დაუფასებელი სამსახური შეუძლია გაუწიოს მხატვრულ ლიტერატურამ პროლეტარიატს კლასიური ბრძოლის, სოციალისტური მშენებლობის პროცესში. მწერალი ჩვენთვის საუკეთესო პროპაგანდისტია, პროპაგანდისტი თავისებური იარაღით—მხატვრული სიტყვით, პროპაგანდისტი საბჭოთა სისტემის, კომუნიზმის მშენებლობის. ბუნებრივია, რომ აქ ლაპარაკია საბჭოთა მწერალზე ე. ი. ისეთ მწერალზე, რომელიც „სდგას საბჭოთა ხელისუფლების პოზიციებზე და, რომელსაც აქვს სურვილი თავისი შემოქმედებით მიიღოს აქტიური მონაწილეობა პროლეტარიატის კლასიურ ბრძოლაში და სოციალისტურ მშენებლობაში" (საკბ მწერლების კავშირის წესდებიდან). სწორედ ასეთი მწერლები არიან და უნდა იყვნენ გაერთიანებული საბჭოთა მწერლების კავშირში.

მაგრამ არიან ზოგიერთი მწერლები, რომლებიც ფიქრობენ, რომ შესაძლებელი საბჭოთა მწერლის მანდატი იქონიოთ და ანტისაბჭოთა პროპაგანდა აწარმოოთ მხატვრული სიტყვის შემწეობით. ეს ისეთი მწერლებია, რომლებიც შეგნებულად გამოხატავენ რა კლასიურ მტრების ნება-სურვილებს, ცდილობენ აწარმოონ ფარული ბრძოლა ჩვენი პარტიის და ხელისუფლების წინააღმდეგ.

აქ ჩვენ შევჩერდებით ერთ ასეთ მწერალზე — ახალგაზრდა პოეტ-გ. შატბერაშვილზე. გასულ წელს გ. შატბერაშვილმა დასტამბა ორი ლექსი: „განთიადის დასაწყისი" (ჟურ. „მნათობი" № 9) და „წერილი ახალგაზრდებს" (ლიტ. გაზეთი № 14), რომლებიც არ შეიძლება უყურადღებოთ დავსტოვოთ. ორივე ლექსი თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია ანტისაბჭოთა სულით და ფაქტიურად წარმოადგენენ კულაკური ახალგაზრდობის დეკლარაციას, პროგრამას.

რომ ფარდა ავხადოთ გ. შატბერაშვილის რეაქციონურ სულისკვეთებას, მის მტრულ განწყობილებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი ამ ლექსებში, საჭიროა მათზე ცალცალკე შევჩერდეთ:

დავიწყოთ პირველი ლექსიდან; უპირველესად ყოვლისა საჭიროა ყურადღება მივაქციოთ თვით ლექსის სათაურს: „დასაწყისი განთიადისა". ეს სათაური თითქმის ყველაფერს ამბობს, ის გადმოგვცემს ორი სიტყვით შატბერაშვილის მთელი ლექსის „ფილოსოფიას".

შატბერაშვილის აზრით განთიადი მხოლოდ უნდა დაიწყოს. ეს მომავლის საქმეა. აწმყოში კი ჩვენ განთიადიც არა გვაქვს. ყველაფერი მოცულია სუსხიანი ღამით.

„არ ირხევიან ხენი არსაით
დგანან, ელიან არიერაჟებს,
უკანასკნელი შვიდი ვარსკვლავი
ლაჟვარდებიდან ნამივით შრება..
და მნათობები მზის შესახვედრათ
გაყინულ სხივებს აჟღარუნებენ".

სუსხიანი ღამე უნდა შესცვალოს განთიადმა, უნდა გარიჟრაჟდეს მზე ამოვიდეს და აი შატბერაშვილიც ქებას უძღვნის მზის ამოსვლას.

„იდიდოს!... იგი დინჯათ ამოვა
და სხივებს გაშლის როგორც შაირებს
მზეს შესძახებენ პირველ სათხოვარს,
სადღეგრძელოს და მრავალჟამიერს!..."

რომელ მზის ამოსვლაზე ლაპარაკობს ავტორი? რომელ მზეზე ოცნებობს იგი?

რა თქმა უნდა, არა სოციალიზმის მზეზე, რომელიც უკვე ამოვიდა. შატბერაშვილი ლოცულობს სულ სხვა მზეზე, რომელიც მხოლოდ მომავალში უნდა ამოვიდეს, რომელმაც უნდა შესცვალოს მისი აზრით ეხლა არსებული ღამე რომ ეს ასეა, რომ ავტორი უკმაყოფილოა აწმყოთი, რომ ის დიდ სევდას განიცდის „გაყინულ" გარემოს გამო, ამას მოწმობს აღნიშნული ლექსის შემდგომი სტრიქონებიც

„ეს გული მაინც ჟრიჟრაჟოა,—
რადგან მარადჟამს შენს ჩრდილს ვატარებ!...
მიეხეთქება ჩანგურს ჩანგური,
და გულზე ცრემლებს ჩამოაგორებს!...
მივიხედი ხეო რასაც შრიალებ —
მისურვებ სწრაფვას და გამარჯვებას!
შემომხვევია მხრებს აშრიალი,
და მესმის შენი ფოთლების რჩევა:
— საით მიდიხარ? გადარებ აჩრდილს,
ვისთვის ატარებ სიხარულს, სევდას,
რად გსურს იპოვო ვერხვის შრიალში
შენი ფიქრების ხმა და მსგავსება?!.."

აშკარაა, რომ შატბერაშვილმა, მიუხედავად თავისი ეზოპური ენისა ვერ შესძლო თავისი ზრახვების დამალვა. მისი რეაქციონური სულიერი განწყობილება მაინც აშკარათ ჩანს და აქ მას ვერ შველის ვერც ლექსის თ. ჩ—ლისადმი მიძღვნა და ვერც მისი „ეშხიანი სახეს" ხსენება.

შატბერაშვილს თავისი „სიბრძნე", თავისი სავალი გზა აქვს. ეს სიბრძნე, ეს სავალი გზა განსაზღვრულია არა ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ, არამედ ჩვენი კლასიური მტრების მიერ. აი „ფოთლების რჩევა", რომელსაც ღებულობს ავტორი:

„მიიღე სიბრძნე ჭალაროსანის,
იარე უკან ნუ დაბრუნდები,—
იარე მარად, არ შეგიცოდებ,
მე აქ უაზროდ ჩემთვის ვშრიალებ,
ხან მწუხრის ქარი შემირხევს ფოთლებს,
ხან გარიჟრაჟი შემაჟრიალებს...
იყავი დიდი გზების მდევარი,
გულში სხვა ხმები იბადებიან..."

მიიღე სიბრძნე ჭალაროსანის.
იყავი დიდი გზების მდევარი
— ასეთია შატბერაშვილის „ფილოსოფია".

ვინ არის ეს ჭალაროსანი, რომლისაგან შატბერაშვილი სიბრძნეს ღებულობს? არა ჩვენი პარტია და ხელისუფლება, არამედ ჩვენი კლასიური მტრები.

როგორია ის დიდი გზები, რომლის მდევარია შატბერაშვილი?

არა ჩვენი პარტიის და ხელისუფლების მიერ ნაჩვენები დიდი გზები, არამედ ჩვენი კლასიური მტრების მიერ ნაჩვენები გზები.

მიუხედავად იმისა, რომ შატბერაშვილის იმედები აწმყოში დამსხვრეულია, მას მაინც აქვს იმედი, რომ მისი ბრძოლა უშედეგო არ იქნება, რომ მისი კვალი მაინც დარჩება. აი „ფოთლების რჩევის" გაგრძელება:

„ვერ შეგაშინებს ყორანის ყეფა,
მოისხამ ფრთებზე ამ საუკუნეს,
გწამდეს, დასტოვებს გზებზე ნატერფალს,
შენი ტორებზე შემდგარი ჰუნე!..."

ნათელია, რომ შატბერაშვილი, თუმცაღა ფარულათ, მაგრამ მაინც ეწევა ანტისაბჭოთა იდეების პროპაგანდას. ის ოცნებობს სხვა მზის ამოსვლაზე, სხვა გარიჟრაჟზე, ახალ „დიდ გზებზე" და სხვ.

ტყუილია იმედები! ამაოა ეს ფიქრები!

შეგვიძლია დავარწმუნოთ შატბერაშვილი, რომ ის მზე, რომლის ამოსვლას ის უგალობს, არასოდეს არ ამოვა, რომ ის განთიადი, რომლის დასაწყისზე ის თავის ლექსს სწერს, არასოდეს არ დაიწყება, რომ ის დიდი გზები. რომელთა მდევარი მას უნდა იყოს. მიიყვანს მას სამარცხვინო ბოლომდის.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს ლექსი შემთხვევითია, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ეს ასე არ არის. ამის დასამტკიცებლად საჭიროა მივმართოთ შატბერაშვილის მეორე ლექსს „წერილი ახალგაზრდებს", რომელიც კიდევ უფრო რეაქციონურია.

როგორც პირველ ლექსში, ისე აქაც სათაური ბევრ რამეს გვეუბნება. ლექსი ფაქტიურათ დეკლარაციაა, მიმართული კულაკური ახალგაზრდობის მიმართ. მართალია, ამას ავტორი პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ საკმაო მკითხველი ლექსს ზერელეთ მაინც გაეცნოს, რომ დარწმუნდეს ამაში.

ლექსი იწყება ახალგაზრდობის „შექებით", მისდამი „ხოტბის" შესხმით.

„ჩვენ ვართ შტოები გაზაფხულისა,
ჩვენ ვართ ლაჟვარდის პირველი ქება,
ჩვენ ვართ რიჟრაჟი სიჭაბუკისა,
წინ რომ მიუძღვის დაჭარმაგებას!"

რომელ ახალგაზრდობისადმი არის მიმართული შატბერაშვილის ლექსი?

შეიძლება ის მიმართულია კომკავშირისადმი, რომელიც „ყოველთვის იყო ჩვენი მებრძოლთა პირველ რიგებში" (სტალინი)?

შეიძლება ის მიმართულია დამკვრელ ახალგაზრდებისადმი, რომლებმაც „თავი ისახელეს ფაბრიკების, ქარხნების, რკინისგზების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების ახალი მშენებლობის პერიოდში" (სტალინი)?

შატბერაშვილიც ხომ ამბობს:

„ჩვენ თავგანწირვის უდიდეს სურვილს
და ალტაცებას გაუტაცივართ!"

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ აქ ლაპარაკია სწორედ კომკავშირლების და არაკომკავშირელი ახალგაზრდა დამკვრელების თავგანწირვაზე, იმათ ალტაცებაზე და ბრძოლაზე სოციალისტური მშენებლობისათვის.

მაგრამ საკმაოა ლექსის შემდგომი სტრიქონები წავიკითხოთ, რომ დავრწმუნდეთ იმაში, რომ შატბერაშვილის ახალგაზრდებს არაფერი საერთო არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ჩვენს გმირულ კომკავშირთან, ჩვენს გმირულ ახალგაზრდა დამკვრელებთან.

„დავდივართ ქვეყნად, შევსცქერით ზეცას
გზა გაშლილია არა ვარდების
არა დაფნების როგორც ოდესღაც
ხატავდა სიყრმის შარავანდედი!"

და მეორე ადგილას:

„დავდივართ ქვეყნათ... ასე შევხარით,
ვეტრფიალებით მომავლის აჩრდილს
და ახალგაზრდებს, სულით ჩვენგვარებს
შევხვდებით სადმე დიდ მომავალში!"

მაშასადამე, ფრჩხილები გახსნილია; აქ ლაპარაკია იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც სოციალიზმისათვის კი არ იბრძვიან, არამედ „დადიან ქვეყნათ" და „შესცქერიან ზეცას". ეს ახალგაზრდები ეტრფიალებიან მომავლის აჩრდილს, იმ მომავლის, სადაც შეიძლება შევხვდეთ „სულით ჩვენგვარებს".

მაშასადამე, ლექსის მისამართი აშკარაა. ეს არის კულაკური, ანტისაბჭოთა ახალგაზრდობა. ავტორმა კარგად იცის, რომ კულაკურ ახალგაზრდობას არავითარი გავლენა არ აქვს მშრომელ ახალგაზრდობაში, რომელიც ჩვენი სახელოვანი გმირული კომკავშირის იდეურად არის დარაზმული. შატბერაშვილმა იცის, რომ ჩვენი კლასიური მტრები დამხობილია. მაგრამ ის მაინც არ კარგავს იმედს.

„მხოლოდ ლაჩარნი არ დამხობილან
არ განუცდიათ პირქვე დაცემა"

შატბერაშვილი ოცნებობს „დიდ მომავალზე", ოცნებობს არსებული პირობების შეცვლაზე. და თავის იმედებს ის ამყარებს კულაკურ ახალგაზრდებზე.

„აიყრებიან შემდეგ შტოები
ნამში, წვიმაში, რტოგაოხრელად,
გაშლიან ჩრდილებს განმარტოებით.
და დადგებიან განზე მოხებათ!
და, თუ კი სხედან ბუდეში სადმე
ნორჩი ბარტყები ქარიშხლებისა,
ეტყვიან ქებას ამ წელიწადებს
და არწივებათ აიშლებიან!"

ან და მეორე ადგილას:

„შემოდგომაზე დაკარგულ ფოთლებს,
ვარდობის თვეში გაშლიან ხენი!"

ამრიგად, „განზე გადგომა მოხებათ", ტროცკისტულ - ფაშისტური ოცნებობა მომავალ „ქარიშხლებზე", რომელიც თურმე ამ კულაკურ ნორჩმა ბარტყებმა უნდა გამოიწვიოს — ასეთია შატბერაშვილის იმედები.

შატბერაშვილი ცდილობს თავისი კონტრ-რევოლუციური ზრახვები გაამართლოს იმათი მაგალითით, რომლებიც „მიდიოდენ ციმბირში და სახრჩობელაზე", რომლებმაც „გაიტანა ხალხში ნაჯახი" — აი ამ „აჩრდილის გამოხმობას" ცდილობს ავტორი „დიდი მომავლის სახელით".

ძნელი არ არის იმის გაგება, თუ რა აზრი აქვს ამ „აჩრდილის გამოხმობას" ან და „ნაჯახის ხალხში გატანის" ხსენებას ჩვენს პირობებში. ეს პირდაპირი კონტრ-რევოლუციონური - ფაშისტური ლოზუნგია. აქ საბოლოოდ ფარდა ეხდება შატბერაშვილის რეაქციონურ სულისკვეთებას და ის გაშიშვლებული სახით გვევლინება ჩვენ.

კიდევ მეტი. შატბერაშვილი ასე გვათავხედდა, რომ პირდაპირ გვეუბნება: „სიბერეშიაც ვატარებთ დროშას, რომელიც დაგვაქვს სიჭაბუკეში". მისი აზრით ახალგაზრდობა „დაბადებულა. მოსულა ადრი" და ის უნდა „ეტრფიალებოდეს მომავლის აჩრდილს".

კმარა. მკითხველისათვის ნათელია კონტრ-რევოლუციურ - ფაშისტური არსი შატბერაშვილის აღნიშნული „პოლიტიკური ლექსებისა" ამ ლექსებში ჩვენ გველაპარაკება კლასიური მტერი, რომელსაც სძაგს ჩვენი სოციალისტური მშენებლობა, ჩვენი აწმყო და კომუნისტური მომავალი.

ეს ლექსები ნამდვილი ანტი-საბჭოთა, კულაკურ - ფაშისტური ხასიათის ლექსებია, რომლებიც დაგმობილ უნდა იქნას ყოველი საბჭოთა მწერლის მიერ.

როგორც ვხედავთ, მხატვრულ ლიტერატურაშიც ადგილი აქვს კლასობრივ ბრძოლას.

ჩვენი პარტიის და მუშათა კლასის მიერ განადგურებული კლასიური მტრები ცდილობენ ყოველნაირი ხერხებით იბრძოლონ სოციალისტურ მშენებლობის საქმეს. მათ მხატვრულ ლიტერატურაშიც მოიპოვებათ თავიანთი წარმომადგენლობა, რომელთა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა უნდა გაიშალოს.

შატბერაშვილის კონტრ-რევოლუციური ლექსებიდან ჩვენმა საბჭოთა მწერლებმა სათანადო პოლიტიკური დასკვნები უნდა გააკეთონ. საჭიროა მეტი სიფხიზლე, მეტი გამახვილება ბრძოლის რეაქციონური ლიტერატურის წინააღმდეგ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ქართველი საბჭოთა მწერლების არმია ერთსულოვნად დაგმობს შატბერაშვილის გამოსვლებს.

მეორე მხრივ საჭიროა კომკავშირმაც გააკეთოს სათანადო დასკვნები თავისი შემდგომი მუშაობისათვის ახალგაზრდა მწერალთა შორის. ეს მუშაობა გაძლიერებულ უნდა იქნას. ახალგაზრდა კომკავშირელ მწერლებმა სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ შატბერაშვილის ანტი-საბჭოთა შეხედულებებს და კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმონ კომკავშირის და ჩვენი პარტიის გარშემო.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს კომკავშირი, რომელმაც აღზარდა ათეული ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი, ლიტერატურულ ფრონტზე ბრძოლის კიდევ უფრო მეტად გაშლით, მოგვცემს ამ ახლო მომავალში ასეულ ახალგაზრდა მწერლებს.

ამხ. მ. ა. ჩერნოვის მოხსენების დასასრული

ნი ძროხის და ერთნახევარი მილიონი ღორის მეტიზაკია.

ჯიშიანი მწარმოებლების გამოყენების და პირუტყვის მეტიზაციის დაჩქარების ყველაზე ეფექტიურ მეთოდს წარმოადგენს ხელოვნური განაყოფიერება. ეს მეთოდი გამოიგონეს ჩვენმა ახალგაზრდა მეცნიერებმა, მეცხოველეობის საქმის მცოდნეებმა 3—4 წლის წინ და მან სრული გამოყენება ჰპოვა პრაქტიკაში. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ის თავისუფლად ამოვიყენოთ ფართო მასშტაბით.

1934 წელს ხელოვნურად განაყოფიერებულ იქნა 32 ათასი ძროხა, 928 ათასი სული ცხვარი.

საკვები ბაზა მეცხოველეობის საფუძველია

მეცხოველეობის აღმავლობის საფუძველი საკვებია ამ მხრივ ჩვენ კიდევ ვერ გვაქვს საქმე კარგად. მთავარი ადგილი ჩვენს საკვებ რესურსებში უჭირავს უხეშ საკვებს.

ჩვენი პირუტყვის კვების საქმეში ყველაზე უფრო სუსტი ადგილია ცილის ნაკლებობა.

საბჭოთა კავშირს გააჩნია დიდძალი საძოვარი და სათიბი ბალახების სათესი ადგილები, აგრეთვე სათიბები. ეს მიდამოები შეადგენენ 335 მილიონ ჰექტარს, აქედან სათიბი უდრის 53 მილიონ ჰექტარს და საძოვარი 282 მილიონ ჰექტარს, ეს მინდვრები და საძოვრები უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენენ მივარდნილ უაღრესად მოუვლელ ადგილებს. არ იძლევიან ბალახის რამდენადმე მნიშვნელოვან მოსავალს უკანასკნელ წლებში, მოხნის გამო, დიდად შემცირდა გამოსადეგი სათიბი და საძოვარი ადგილების ფართობი. ამის შედეგად მოხდა ის, რომ თუ 1931 წელს მთელს საბჭოთა კავშირში ჩვენ ავიღეთ 510 მილიონი ცენტნერი თივა, 1934 წელს ეს რაოდენობა შემცირდა 409 მილიონ ცენტნერამდე. ამიტომ ჩვენს წინაშე დგას ორი ამოცანა: გავადიდოთ სათიბის ფართობი 1935 წელს, და რაც მთავარია, მივაღწიოთ უფრო მაღალ მოსავალს.

სახელმწიფო გეგმის მიხედვით, სათიბის მოედანი, რომელიც 1934 წელს უდრიდა 40,9 მილიონ ჰექტარს, ბუნებრივი სათიბების ხაზით საბჭოთა კავშირში უნდა გაფართოვდეს 1935 წელს 42,9 მილიონ ჰექტარამდე (საკოლმეურნეო სავლებო სექტორში).

ერთერთ ძირითად მიზეზს, რომელიც აფერხებს მუშაობას მინდვრებისა და საძოვრების გაუმჯობესებისათვის, წარმოადგენს სამელიორაციო და მინდვრების დასამუშავებელ ინვენტარისა და მანქანების ნაკლებობა. 1935 წლისათვის განზრახულია ამ სახის მანქანების წარმოების გადიდება.

მინდვრებისა და საძოვრების გასაუმჯობესებლად დასახული სამუშაოების განხორციელება უზრუნველყოფს თივის ალების გადიდებას 25—30 პროც.-ით. გარდა ამისა საჭიროა 1935 წელს მივაღწიოთ თივის ალების ორგანიზაციის გადაჭრით გაუმჯობესებას. ლაპარაკია თივის ალების უფრო ნაადრევი ვადების დაწესებაზე და მის დაჩქარებაზე.

თუ თივის ალებაში ჩვენ მაინც დამაინც დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არა გვაქვს, კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაშია ჩვენი საძოვრები.

თუ ეს მდგომარეობა ასეთუისე მოსათმენი იყო წინათ, ახლა, ხაპურალის მოხვნასთან დაკავშირებით, საძოვრო ახეულების მეძოვების გამო ასეთი მდგომარეობა ყოვლად მოუთმენელი ხდება.

თივის ალების გეგმის გაფართოებასთან, ველებისა და მინდვრების გაუმჯობესებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მინდვრის საკვების მოპოვებას.

უკანასკნელ წლებში საკვები კულტურების ნათესი შემცირდა 1934 წლის ხნულის 1,6 პროცენტამდე, მაშინ, როდესაც 1931 წელს ის შეადგენდა 5,3 პროც.

საკვები კულტურების საერთო ფართობი ხნულში 1931 წლის 7,2 მილიონ ჰექტარიდან დაეცა 5,4 მილიონ ჰექტარამდე 1934 წელს; საკვები კულტურების შემცირება უმთავრესად მოხდა ბალახების და განსაკუთრებით მრავალწლიანი ბალახების თესვის შემცირების ხარჯზე.

1935 წლისათვის მრავალწლიანი ბალახების თესვა საკოლმეურნეო სავლებო სექტორში დაწესებულია 2,384 ათასი ჰექტარის რაოდენობით, ნაცვლად 1934 წლის 898.200 ჰექტარისა, ერთწლიანი ბალახების თესვა 3.773 ათასი ჰექტარის რაოდენობით, ნაცვლად 2.281.900 ჰექტარისა 1934 წელს. ამრიგად, 1935 წელს ჩვენ ვდგამთ დიდ ნაბიჯს წინ იმ მხრივ, რომ მოვიპოვოთ საკვები მინდვრიდან, ბალახების თესვით ძირნაყოფების თესვით და დასილოსებით.

დასილოსება ჩვენ დავიწყეთ 1930 წელს. ამასთან 1931 წელს მთელს საბჭოთა კავშირში დასილოსებულ იქნა 10,5 მილიონი ტონა, 1934 წელს 11 მილიონი ტონა. 1935 წლისათვის განზრახულია 13,9 მილიონი ტონა საკვების დასილოსება.

რომ უზრუნველვყოთ ბალახების თესვის დასახული გეგმა და კიდევ უფრო წინ წავწიოთ ეს საქმე, საჭიროა სერიოზული ყურადღება მივაქციოთ ბალახების სათესლედ დატოვებას. ეს საქმე უკანასკნელ წლებში პირდაპირ დაეცა, იონჯის მთესველ ისეთ ძველ რაიონებშიც კი, როგორიცაა კიროვის რაიონი, კუბგურის რაიონი და სხვ.

იონჯა ამჟამად ჩვენში წარმოადგენს არანაკლებ მნიშვნელოვან კულტურას, ვიდრე ხორბალი. ამიტომ იონჯას თესვას ისეთივე ყურადღება უნდა ექცეოდეს, როგორსაც კოლმეურნეობები და საბჭოთა ორგანიზაციები ხორბალს აქცევენ.

ბალახის სათესლეების მოსავლიანობის გასადიდებლად საჭიროა ფართოდ იქნეს გამოყენებული ადგილობრივი სასუქები.

ჩვენმა მრეწველობამ უნდა გადიდოს საკვებთა დამმუშავებელი მანქანების წარმოება, აგრეთვე წარმოება იმ მანქანებისა, რომლებიც აუმჯობესებენ მინდვრებისა და საძოვრების მდგომარეობას, როგორიცაა: საკვების სასამდღოლო მოწყობილობა კარტოფილის საჭრელი მანქანები საძირკვე მანქანები, ჩირგვსაჭრელი, ბეგობსაჭრელები, თეფშებიანი ფარცხები და სხვ. ამ მანქანების დამზადების გეგმა, რომელიც დაწესებულია 1935 წლისათვის, უსათუოდ შესრულებული უნდა იქნეს.

საკვებთა წარმოება ვერ ავა სათანადო სიმაღლეზე მანამდე, სანამ ის მეორეხარისხოვან საქმედ იქნება კოლმეურნეობებისა, სოფლის საბჭოებისა, რაიონულ სამიწათმოქმედო ორგანოებისა, რაიკომებისა და რაიაღმასკომებისათვის. საჭიროა რომ საკვების მოპოვებისათვის ბრძოლაში ჩაებან ყველა საბჭოთა ორგანიზაციები, საჭიროა, რომ მიწსახკომის ორგანოებმა ის ჩასთვალონ პირველხარისხოვან სამუშაოდ.

თვითეულ რაიონში შემოღებულ უნდა იქნეს სავალდებულო ვეტერინარული და ზოოტექნიკური წესები

მეცხოველეობის აღმავლობის ხაზით საჭირო ღონისძიებათა სისტემაში უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნის ვეტერინარულ და ზოოტექნიკურ მომსახურებას.

ნამდვილად კი სოფლის მეურნეობის არც ერთი დარგი არ განიცდის კვალიფიციური კადრების ისეთ მწვავე ნაკლებობას, როგორც მეცხოველეობა. რევოლუციამდელ რუსეთში სულ იყო 4 ვეტერინარული ინსტიტუტი, რომლებიც წელიწადში რამდენიმე ათეულ ვეტერინარულ ექიმს უშვებდნენ. ზოოტექნიკური და ვეტერინარული კადრების მომზადება ფართოდ გაიშალა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ამ წლების განმავლობაში (1928-დან 1934 წლამდე) გამოშვებულ იქნა დაახლოვებით 3.200 ვეტერინარული ექიმი და უმაღლესი კვალიფიკაციის 1.800 ზოოტექნიკოსი. მარტო 1934 წელს გამოშვებულ იქნა 636 ვეტერინარული ექიმი და უმაღლესი კვალიფიკაციის 903 ზოოტექნიკოსი.

მიუხედავად ამისა, არსებული ზოოტექნიკური და ვეტერინარული კადრები სრულიად არ კმარან. 1934 წელშიც კი ერთ ვეტერინარულ ექიმზე მოდის 40 ათასი სული და თვითეული ვეტერინარული უბნის მომსახურების საშუალო რადიუსი უდრის 37 კილომეტრს (1931 წელს კი შეადგენდა 51 კილომეტრს). ამასთან უნდა ითქვას, რომ ვეტერინარული ექიმების განკარგულებაში სატრანსპორტო საშუალებანი თითქმის სრულიად არ მოიპოვება.

მაგრამ საქმე მარტო ვეტერინარული და ზოოტექნიკური კადრების სიმცირე როდია. ძირითადი უბედურება არსებული კადრების უაღრესად დაბალი კვალიფიკაციაა.

გარდა ამისა, ვეტერინარული და ზოოტექნიკური ქსელი ფრიად სუსტად არის მოწყობილი, განიცდის სრულიად აუცილებელი სავეტერინარო და ზოოტექნიკური ინსტრუმენტების, ხელსაწყოების, მასალების და მედიკამენტების მწვავე ნაკლებობას.

მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმით მოცემულია დავალება, რომ 1935 წელს ზოოტექნიკური უბნების რაოდენობა აყვანილ იქნას 8 ათასამდი, ვეტერინარულ - საექიმო პუნქტების რაოდენობა — 5.600-მდე, ვეტერინარულ - საფერშლო პუნქტების რაოდენობა — 8 ათასამდე.

დაზღვევის სტატისტიკის ცნობებით, არაგადამდებ სნეულებათაგან ყოველწლიურად იღუპება 4,5-ჯერ მეტი პირუტყვი, ვიდრე გადამდებ სნეულებათაგან.

სავსებით ცხადია, რომ ეს არის შედეგი არასაკმარისი ზოოტექნიკური მომსახურებისა, პირუტყვის შენახვისა და მოვლისადმი დაუდევარი დამოკიდებულებისა პირუტყვის პატრონების მხრივ და სულ ელემენტარული ვეტერინარულ და ზოოტექნიკურ მოთხოვნათა უგულებელყოფისა იმ პირთა მიერ, რომლებიც პირუტყვს მომსახურებას უწევენ.

ამიტომ არის, რომ მეცხოველეობის აღმავლობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს მტკიცე, პირუტყვის ყველა პატრონისათვის შესასრულებლად სავალდებულო ვეტერინარული და ზოოტექნიკური წესების დადგენა.

ბოლოს, აუცილებელია მოვახდინოთ მოსახლეობაში ვეტერინარული და ზოოტექნიკური ცოდნის და მეცნიერების მიღწევათა უაღრესად ფართო პოპულარიზაცია პირუტყვის მოვლის, შენახვის და გამოკვების და სხვადასხვა ავადმყოფობიდან ცხოველთა დაცვის საკითხებზე.

სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება დავუახლოვოთ ცხოვრებას!

მეცნიერების მიღწევებიდან მეცხოველეობის დარგში შეიძლება აღინიშნოს შემდეგი. შემოღებულია ხელოვნური განაყოფიერების მეთოდი. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გამოგონილია დამაკების განსაზღვრის მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ ჭაკის დამაკება, დაწყებული 42 დღიდან, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში—30-დან, ღორების დამაკება—14-დან, ხოლო ზოგჯერ კი 7 დღიდან.

მაგრამ ყოველივე ეს სრულიად უმნიშვნელოა, როგორც იმ სახსრებთან შედარებით, რომლებიც სახელმწიფოს მიერ სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობაში არიან დაბანდებული, ისე, უმთავრესად, იმ მოთხოვნებთან შედარებით, რომლებსაც ცხოვრება გვიყენებს. კერძოდ, სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობა პირუტყვის მოშენების, ჯიშის გაუმჯობესების, სელექციის და სხვა დარგში ძალიან სუსტად არის განვითარებული.

ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია პირუტყვის, კერძოდ ცხვრების მოშენების დაჩქარება. არსებული პრაქტიკით ჩვენში ცხვარის დაგრილება ხდება წელიწადში ერთხელ, იგი ნამატს წელიწადში ერთხელ იძლევა. რომანოვის ცხვარი კი ორ წელიწადში ნაყოფს სამჯერ იძლევა.

კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაშია ვეტერინარული მეცნიერების საკითხი. უაღრესი მნიშვნელობის პრობლემები, როგორიცაა ბრძოლა ინფექციურ ანემიასთან, მენინგიტთან, ახალგაზრდა პირუტყვის სნეულებებთან, ბრუცელეზთან, ვეტერინარული მეცნიერების მიერ დღემდის არ არის გადაჭრილი.

შემდეგი საკითხია მეცხოველეობის დარგის მექანიზაცია. ჩვენ უკვე ახლა ვპოვებთ კოლმეურნეობათა დიდ რაოდენობას, რომლებსაც გააჩნიათ ყველა სახის ფერმები, ამასთან მრავალრიცხოვანი სულადობის შემცველი ფერმები. ამ ფერმების შემდგომ განვითარებას აფერხებს სამუშაო ძალის ნაკლებობა. სოფლის მეურნეობის მეცხოველეობის დარგი თითქმის სრულიად არ არის მექანიზებული და მეცხოველეობის მეცნიერება აქ ჰალ ან ცოტას იძლევა.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ 1934 წლის 16 ივლისის დადგენილებაში სპეციალურად განიხილა ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის მუშაობა და გამოიყვანა გადამჭრელი ორგანიზაციული დასკვნა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერება ცხოვრებას დაუახლოვდეს. ამ მიზნით ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში დატოვებულია სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტების მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა, ხოლო თვითეულ ოლქსა, მხარეში და რესპუბლიკაში უნდა შეიქმნას სამეცხოველეო და სავეტერინარო საცდელი სადგურები. ამ სადგურებმა თავის მუშაობაში ფართოდ უნდა გამოიყენონ კოლმეურნეთა ცდები და გადაიქცენ შტაბად ადგილობრივი (საოლქო და სამხარეო) ორგანოებისათვის მეცხოველეობის მეცნიერების ამაღლების საქმეში.

ამხანაგებო! ჩვენი მტრები საკმაოდ ბევრს წერდნენ და გაჰყვიროდნენ იმის გამო, რომ ამ დარგში ჩვენ გარდატეხას ვერ მივაღწევდით. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ გარდატეხა უკვე დაიწყო.

მაგრამ, ამხანაგებო, უდიდესი შეცდომა იქნებოდა რამდენადმე მაინც დაგვემშვიდებინა თავი ამ გარდატეხით. ახლა საჭიროა განსაკუთრებით დაძაბული მუშაობა, რომ უზრუნველვყოთ მეცხოველეობის დარგში 1935 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულება, რომ შევასრულოთ ახალგაზრდა პირუტყვის მოშენების გეგმა.

ახლა მთელი საქმე მუშაობაშია. მთელი საქმე პირუტყვის მოვლაშია. შეიძლება სრულიად გაუზვიადებლად ითქვას, რომ მთელი პირუტყვის, პირველ რიგში ახალგაზრდა პირუტყვის ბედს წყვეტს მოვლა, ე. ი. პირუტყვის მუდმივი მეთვალყურეობა, მისი შენახვა სუფთა, რიგიან სადგომში, პირუტყვის გულდასმით მოვლა მისი სისუფთავის, კარგი კვების და განსაკუთრებით საკვების მომზადების, დროული და სწორი კვების და წყლისდალევინების აზრით.

ამხ. სტალინმა ჯერ კიდევ პარტიის მე-17 ყრილობაზე მისცა შეფასება სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაობას. უნდა ითქვას, რომ თუ მეცხოველეობის მდგომარეობაში მე-17 ყრილობიდან თვალსაჩინო გარდატეხა მოხდა, სამაგიეროდ სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაობაში ასეთი გარდატეხა ჯერ კიდევ არ არის.

ეს ეხება მიწსახკომის სისტემის ყველა რგოლს, მაგრამ ის განსაკუთრებით ეხება რაიონულ რგოლს.

მუშაობაში მეცხოველეობის ხაზით ახლა შეტანილია პრინციპულობა ახალი წლიური სახელმწიფო გეგმა, რომელიც შეუთავსებელია იმ მოდუნებულობასთან, იმ თვითდინებასთან, რომელიც ჯერ კიდევ მეფობს ჩვენი სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაობაში. გეგმის შესასრულებლად უწინარეს ყოვლისა საჭიროა მტკიცე დისციპლინა. ამავე დროს კი ყველაზე უფრო მტკივან ადგილს ჩვენი ორგანოების და პირველ რიგში რაიმიწგანების მუშაობაში წარმოადგენს ამ დისციპლინის უქონლობა, მე ვიტყოდი—თავაშვებულობა, სურვილის უქონლობა—ანგარიში გაუწიონ დავალებებს, განსაკუთრებით მათ შესრულებას ვადაში.

რაიმიწგანების მუშაობა საგრძნობლად უნდა გაუმჯობესდეს და, იგულისხმება, რომ მთავარი ზრუნვა ამ მხრივ უნდა დააწვეს რაიაღმასკომებს, რომლებიც ხშირად ივიწყებენ, რომ რაიმიწგანები ეს პირველ ყოვლისა მათი ორგანოებია.

მაგრამ, ჩვენი ორგანოების მუშაობის საგრძნობლად გაუმჯობესების პირობებშიც კი, მარტო ეს ორგანოები ვერ დასძლევენ მეცხოველეობის დარგში მდგარ ამოცანებს. ამის შესახებ ამხ. სტალინი ლაპარაკობდა ჯერ კიდევ პარტიის მე17 ყრილობაზე, მან თქვა, რომ მეცხოველეობის საქმე უნდა გახდეს ყველა ჩვენი მუშაკის საქმე. და აქ უდიდეს როლს თამაშობს ფართო საზოგადოებრიობის, კოლმეურნეთა ფართო მასების, ახალგაზრდობის, ქალთა ორგანიზაციების მოზიდვა.

შექმნილია ყველა პირობა მეცხოველეობის პრობლემის უმოკლეს ვადაში გადასაჭრელად. ჩვენი დიდი ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით პარტია, საბჭოები, საბჭოთა მეურნეობანი, კოლმეურნეობანი და კოლმეურნენი ისე დასძრავენ წინ მეცხოველეობის საქმეს, რომ მეორე ხუთწლედის დავალებები არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც იქნება შესრულებული (ტაში)

საქართველოს მოწინავე დამკვრელი კოლმეურნეები
საუკეთესო მაჩვენებლებით მიდიან საკავშირო ყრილობაზე

დელეგატების გამგზავრება მოსკოვში

გუშინ, ნაშუადღევს 5 საათზე, სომხეთიდან ტფილისში ჩამოვიდა დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის 11 დელეგატი.

სომხეთისა და საქართველოს დელეგატებს მოსკოვში გამგზავრების წინ სადგურში შეხვდნენ ამხ. სტალინის სახ. ორთქმავალთა შემკეთებელი, ამხ. ლ. ბერიას

◻ ◻

ამხ. ბ. კაკალია.

◻ ◻

სახ. ვაგონების შემკეთებელი, 26 კომუნარების სახელობის, აბრეშუმის სართავი, მკერავის, საილენძის—სტალინის ქარხნების და ტრამვაის მეურნეობის საუკეთესო დამკვრელი მუშები

ტფილისის პროლეტარიატის და სოციალისტური მინდვრების საუკეთესო ადამიანების შეხვედრის აღსანიშნავად სადგურზე მოთავრობის დარბაზში გაიმართა სახელდახელო მიტინგი, რომელიც მოკლე სიტყვით გახსნა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ.-ის წარმომადგენელმა ამხ. სუნდაროვმა.

საქართველოსა და მოძმე რესპუბლიკის—სომხეთის საუკეთესო დამკვრელ კოლმეურნეებს პირველად მიესალმა სავაგონო დეპოს მუშა ამხ. დგებულაშვილი. სტალინის სახ. ორთქმავალთა ქარხნიდან გამოვიდა ამხ. უჩვაძე; საილენძის სტალინის ქარხნის მუშათა და სპეციალისტთა კოლექტივის სახელით ილაპარაკა ამხ. ახობაძემ. გამოსული მუშები მიესალმნენ რა მხურვალედ დამკვრელ კოლმეურნეებს, ამასთანავე უტაცებს 1934 წ. საწარმოო დავალებათა შესრულებაზე და სთხოვეს მათ გადასცენ მხურვალე ბოლშევიკური სალამი სოციალისტური წყობილების გამარჯვებათა ორგანიზატორს და საყვარელ ბელადს დიდ სტალინს. ამხ. სტალინის სახელის ხსენებას ფარავს ხანგრძლივი მქუხარე ტაში.

◻ ◻

ამხ. ოლღა შენგელია, დელეგატი ხამტრედიის რაიონიდან

საქართველოს დელეგაციის სახელით მოკლე, მაგრამ მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა დელეგატმა ლაგოდეხის რაიონიდან ამხ. დ. მანგოშვილმა.

დელეგატმა ლენინაკანის რაიონის სოფ. მამათიდან ამხ. კალოიანმა, დამწყრე მუშებს უამბო მათი მიღწევების შესახებ და განაცხადა, რომ დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ საკავშირო ყრილობიდან მეორე ყრილობამდე ორმა წელმა განვლო. პარტიული ორგანიზაციის მტკიცე ხელმძღვანელობით მამათის კოლმეურნეობა, წავიდა რა ამხ. სტალინის მითითებების გზით, გადაიქცა ბოლშევიკურ კოლმეურნეობად.

სომხეთის დელეგატი ამხ. გარიბიანი მიესალმა რა თავისი ამხანაგების სახელით ტფილისის პროლეტარიატისა და საქართველოს კოლმეურნეთა საუკეთესო ადამიანებს — ხაზი გაუსვა ძმური, რესპუბლიკების მტკიცე კავშირს და იმ მიღწევებს საკოლმეურნეო მშენებლობაში, რომელსაც სომხეთის პარტორგანიზაციამ მიაღწია ამხ. ლ. ბერიას ოპერატიული ხელმძღვანელობით.

საქ. საშეფო ბიუროს სახელით ილაპარაკა ამხ. ბ. ჩოლოყაშვილმა.

სომხეთის და საქართველოს კოლმეურნე დელეგატებისა და ტფილისის საწარმოთა საუკეთესო ადამიანების შეხვედრა სახ. კინმრეწვმა გადაიღო კინო-ლენტზე.

საღამოს 7 საათსა და 45 წუთზე დელეგატები გაემგზავრნენ მოსკოვში.

ქალებს დიდად აფასებენ

(დელეგატი ქალის წერილი)

მე დიდად მოხარული ვარ, რომ წილად მხვდა დავესწრო დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობას. როცა დელეგატად ამირჩიეს, იმ საღამოს სიხარულისაგან დიდხანს ძილი არ მომსვლია.

კარგად მაქვს შეგნებული, რომ დელეგატობის წოდება პატიოსანი და ბეჯითი

ამხ. ელენე არუშიძე

◻ ◻

შრომით მოვიპოვე. შარშან გამოვიმუშავე 132 შრომადღე. 4-ჯერ დამაჯილდოვეს დამკვრელური მუშაობისათვის.

კოლექტივში, რომ არ ვყოფილიყავი, განა მოვესწრებოდი ამგვარ კარგ საქმეს? დიახ, ვერ მოვესწრებოდი. ახლა მე და ჩემი ქმარი ორი ხელიხელჩაკიდებული ვმუშაობთ კოლექტივში. ჩემი ქმარი ბრიგადირია. მე კი მისი ბრიგადის წევრი.

ჩემს კოლექტივში ქალებს დიდად აფასებენ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენმა სტალინმა თქვა, რომ ქალები კოლმეურნეობაში დიდი ძალაა და უნდა დავაწინაუროთ ისინი.

ზოგიერთი კოლმეურნე ქალი შარშან ჩაის კრეფის დავალებებს გადაჭარბებით ასრულებდა. პირადად მე საშუალოდ ვკრეფდი 16—20 კილოგრამ მწვანე ფოთოლს. შემიძლია განვაცხადო ჩემი ამხანაგების სახელით, რომ წრეულს ქალები ამ საქმეში არ ვჭამთ სირცხვილს და კიდევ უფრო მონდომებით ვიმუშავებთ.

ტფილისში პირველად ვარ. ქალაქმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სულით და გულით მივეჩქარები მოსკოვში, რომ საკუთარი თვალით ვნახო ჩვენი საყვარელი ბელადი ამხანაგი სტალინი და მოსკოვი.

ყრილობაზე უფრო მეტ სამეურნეო ცოდნას შევიძენ ჩამოსვლისთანავე ამ [illegible] გავუზიარებ ჩემს ამხანაგებს და კიდევ უფრო მონდომებულად ვიმუშავებთ.

ელენე არუშიძე.

მახარაძის რაიონის სოფ. გურიანთის კოლმეურნეობა.

სიხარულით მივდივარ ყრილობაზე

დიდ სიხარულს ვგრძნობ, რომ ჩვენი კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობის დელეგატად ამირჩია. კიდევ უფრო ძვირფასია ის, რომ ამ ყრილობაზე გაგზავნის უფლება ქუთაისის რაიონში მხოლოდ ჩვენს, სოფ. გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლას" ერგო.

შარშანწინ, დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ საკავშირო ყრილობაზე დელეგატის გაგზავნის უფლება ჩვენ არ მოგვეცა. გვეუბნებოდნენ: „თქვენ სუსტად მუშაობთ. ყრილობაზე დელეგატები მოწინავე კოლმეურნეობებმა უნდა გაგზავნონო".

მაშინ მართლაც ვერ ვმუშაობდით კარგად. სათანადოდ არც სანარდო სისტემა გვქონდა გატარებული და ქალების შრომასაც ვერ ვიყენებდით; როცა ჩვენ გულდასმით გავეცანით იმ ყრილობაზე ამხ. სტალინის მიერ წარმოთქმულ სიტყვას, ყველა კოლმეურნეობის ბოლშევიკურ კოლმეურნეობად და კოლმეურნეების შეძლებულებად გადაქცევის შესახებ, მუშაობას ხალისი მოგვეცა, და უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, არა მარტო გამოვასწორეთ უწინდელი ნაკლოვანებები, არამედ მოწინავე კოლმეურნეობის სახელიც მოვიპოვეთ მთელს ქუთაისის რაიონში.

1934 წელს გეგმები გადაჭარბებით შევასრულეთ. გეგმის გარეშე დავთესეთ სხვადასხვა კულტურები 33 ჰექტარი. ერთ ჰექტარ სიმინდის ნათესიდან გეგმით გათვალისწინებულ 72 ფუთის ნაცვლად, მივიღეთ 85 ფუთზე მეტი მოსავალი. ბოსტნეულის მოსავალი გავადიდეთ 25 პროცენტით. სახელმწიფოს ყველა ვალდებულებების შესრულებისა და ფონდების გამოყოფის შემდეგ თვითეულ შრომადღეზე ჩვენ გვერგო ნახევარი ფუთი სიმინდი, ერთი გირვანქა ხორბალი, ნახევარი ლიტრა ღვინო, 1 მანეთი ფულად და კიდევ სხვა პროდუქტები.

ჩვენი კოლექტივის წევრები, რომლებიც კეთილსინდისიერად და მონდომებით მუშაობენ, იწყებენ შეძლებულ ცხოვრებას. [illegible] ფეხტველიძემ მაგალითად, კოლმეურნეობიდან შარშან 225 ფუთი სიმინდის მოსავალი მიიღო; წლის განმავლობაში ოლინკა ფეხტველიძემ, 250 შრომადღე გამოიმუშავა და სიმინდი იმდენი მიიღო, რომ გასაყიდიც აქვს, ლავრენტი კილაძემ, დათიკო მეავანაძემ, ოლია მუშკუდიანმა და სხვებმა ახალი სახლები აიშენეს, ძროხები იყიდეს, ოჯახები მოაწყვეს და კარგად ცხოვრობენ.

ახლა ყველა დარწმუნებულია იმაში, რომ კერძო შრომასთან შედარებით, კოლექტივში მუშაობა მეტს ხეირს და ბარაქას იძლევა. აი მაგალითად ჩვენ სოფელში მცხოვრობს კერძო მეურნე შრომელი გლეხი ლადიკო გაბედავა (მისი ოჯახი შრომის უნარიან 5 წევრისაგან შესდგება) ღარიბად ცხოვრობს. 1934 წელს მან 5 თვის სარჩო ძლივს მოიყვანა; ლადიკო გაბედავას გვერდით ცხოვრობს ჩვენი კოლექტივის წევრი კოწია გაბედავა. მარტო კოწიამ წელს 300 შრომადღე გამოიმუშავა, (მეტი შრომის უნარიანი წევრი მის ოჯახში არაა). კოწია გაბედავამ საკოლმეურნეო შემოსავლით ახალი სახლი აიშენა და მეწველი ძროხა შეიძინა. წელს მან კოლექტივიდან მიიღო 150 ფუთზე მეტი სიმინდი (სიმინდი გასაყიდი აქვს), აგრეთვე ღომი, ბოსტნეული, ღვინო და სხვა პროდუქტები.

ამხ. იონა ფესტველიძე

◻ ◻

კოლექტივის უპირატესობას ახლა ყველა ხედავს. სწორედ ამიტომაა რომ უკანასკნელად ძალიან გაიზარდა კერძო მეურნე შრომელ გლეხების სურვილი — შემოგვიერთდნენ ჩვენ. შარშან კოლექტივს 75 ლი წევრი შეემატა, ამ ერთი კვირის წინათ მივიღეთ 7 ახალი წევრი.

საგაზაფხულო თესვისათვის მზად ვართ. სიმინდის, ბოსტნეულისა და არაჩისათვის —383 ჰექტარი ფართობი მზრალად მოვხანით; მუშა-საქონელი გაძლიერებულ კვებაზე გადავიყვანეთ, გუთნები და სხვა ინვენტარი შევაკეთეთ, სათესლე მასალა გამოვყავით, გავწმინდეთ და შევამოწმეთ მისი ხარისხი.

ყრილობაზე სიტყვით მინდა გამოვიდე. თუ რუსულად ლაპარაკი ვერ შევძელი, ვილაპარაკებ ქართულად ერთი სიტყვით, საქვეყნოდ მინდა გავაცხადო, რომ ჩვენ მხიარულად და ბედნიერად ვცხოვრობთ, რომ ჩვენი საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, თავი დავაღწიეთ გაჭირვებულ ცხოვრებას და დავადექით შეძლებული ცხოვრების გზას.

იონა ფესტველიძე.

(დელეგატი, სოფ. გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლა"-დან)

აფხაზეთიდან

სოხუმი, 3 თებერვალი. დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობაზე მოსკოვში აფხაზეთიდან დელეგატად გაგზავნილია ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი მოქვის" წევრი ამხ. კაკალია.

კაკალია არის საკოლმეურნეო წარმოების საუკეთესო დამკვრელი, კოლმეურნეთა შორის სოცშეჯიბრების ორგანიზატორი.

წინათ კაკალია ღარიბი გლეხი იყო. იგი კოლმეურნეობაში შევიდა მისი ორგანიზაციის პირველივე დღეებიდან 1928 წელს. კოლმეურნეობაში მუშაობის დროს შრომისადმი პატიოსანი, კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შედეგად იგი მტკიცედ ადგა შეძლებული ცხოვრების გზაზე.

დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობაზე ამხ. კაკალია წარმოდგება პატაკით აფხაზეთის კოლმეურნეობების მიღწევათა შესახებ.

პარტიის ც. კ-ის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილება
ახალი ნაბიჯია პროლეტარიატის დიქტატურის შემდგომი განმტკიცების გზაზე

მოსკოვი, 4 თებერვალი. 4 თებერვალს მოსკოვის ზოგიერთ საწარმოში შესდგა მუშათა და ინჟინერ - ტექნიკურ მუშაკთა მრავალ-რიცხოვანი კრებები, რომელზედაც მოსმენილი იქნა ინფორმაცია საკ. კ.პ.(ბ) ც. კ.-ის თებერვლის პლენუმის ისტორიულ დადგენილების გამო სსრ კავშირის კონსტიტუციაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის აუცილებლობის შესახებ.

მოსკოვის პროლეტარები მხურვალედ მიესალმებიან ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას.

— საკ. კ.პ.(ბ) პლენუმის გადაწყვეტილება, — აცხადებენ ელექტრო-ქარხნის მუშები, — ახასიათებს იმ გიგანტურ ცვლილებებს, რომლებიც მოხდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში ლენინ - სტალინის პარტიის გენიალური ხელმძღვანელობით. ახალი სოციალისტური ინდუსტრიის შექმნამ, სოფლის სოციალისტურ გარდაქმნის წარმატებებმა, მშრომელთა მილიონების უსაზღვრო ერთგულებამ პარტიის გენერალური ხაზის. და ცენტრალური კომიტეტისადმი საყვარელ ბელად ამხ. სტალინის მეთაურობით — საშუალება მისცემს, პარტიის ც. კ-ის პლენუმს გამოეტანა ეს ისტორიული დადგენილება.

— ჩვენ გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ საარჩევნო სისტემის შემდგომი დემოკრატიის საფუძველზე, დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით, ჩვენი სამშობლო მოიპოვებს ახალ გამარჯვებებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო აშენებისათვის ბრძოლაში.

ამხ. კაგანოვიჩის სახელობის 1-ლი სახელმწიფო ბურთობ საკისრის ქარხნის მუშები აცხადებენ:

— პარტიის ც. კ-ის ისტორიული გადაწყვეტილება არის ახალი ნაბიჯი პროლეტარიატის დიქტატურის შემდგომი განმტკიცების გზაზე, ახალი გამანადგურებელი ლახვარი ფაშისტური ხროვისა და წვრილბურჟუაზიული დემოკრატების მიმართ, რომლებიც ცილს სწამებენ ჩვენი კლასის დიქტატურას.

— ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით ჩატარებული გმირული შრომის და ბრძოლის 17-მა წელმა,— ნათქვამია სტალინის სახელობის ავტოქარხნის მუშების რეზოლუციაში, — ფართო ასპარეზი გაუკაფა საბჭოთა დემოკრატიის ახალ აღმავლობას და აყვავებას. ც. კ-ის პლენუმის ისტორიული დადგენილება, აფართოებს რა საბჭოთა დემოკრატიის ფარგლებს, ამით კიდევ უფრო ძლიერად აიარაღებს ჩვენი ქვეყნის მშრომელ მასებს პროლეტარიატის დიქტატურის შემდგომი განმტკიცებისათვის საბრძოლველად.

კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმავთ ჩვენს რიგებს ლენინური ც.კ.-ის და ჩვენი საყვარელი სტალინის გარშემო.

26 საბ. რაიონის კომკავშირის მე-21 კონფერენცია

შესდგა კომკავშირის ტფილისის ორგანიზაციის 26 საბ. რაიონის მე-21 კონფერენცია.

საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმების არჩევის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. კამალიანის საანგარიშო მოხსენება რაიკომის მუშაობის შესახებ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. ბარქაია (პარტიის რაიკომი) მერჩიანი (რაიკომი) და კომკავშირის მთელი რიგი მუშაკები.

სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ კონფერენციამ მოიწონა ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილება ტფილისში ახალი რაიონის შექმნის და მისთვის ამხ. ს. მ. კიროვის სახელის მიკუთვნების შესახებ. მიღებულ რეზოლუციაში კონფერენციამ აღნიშნა, რომ საჭიროა მუშაობის სიმძიმის ცენტრის გადატანა ნავთლუღის სამრეწველო რაიონში.

სამანდატო კომისიის მოხსენების დამტკიცების შემდეგ კონფერენციამ აირჩია კომკავშირის რაიონული კომიტეტი 35 წევრის და სარევიზიო კომისია 5 კაცის შემადგენლობით.

★

კომკავშირის 26 საბ. რაიკომის პირველი პლენუმმა, რაიკომის მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. კამალიანი და მის მოადგილედ ამხ. მღებრიშვილი.

o—

კიროვის რაიონის კომკავშირის პირველი კონფერენცია

4 თებერვალს შესდგა კომკავშირის ტფილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიონის პირველი კონფერენცია.

კონფერენციის დელეგატებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს ტროცკისტულ - ზინოვიევური ოპოზიციის ნაძირალების მიერ მოკლული ამხ. ს. მ. კიროვის და გარდაცვალებული ამხ. ვ. ვ. კუიბიშევის ხსოვნას.

კონფერენციამ მოისმინა საქ. ა. ლ. კ. კ. ტფილისის კომიტეტის მდივნის ამხ. მაისურაძის ინფორმაცია ტფილისში ახალი რაიონის მოწყობის და ამ რაიონის კომკავშირული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ.

კონფერენციამ ერთხმად მოიწონა გადაწყვეტილება ახალი რაიონის მოწყობის და მისთვის ამხ. კიროვის სახელის მიკუთვნების შესახებ და დასახა რაიონული ორგანიზაციის მთელი რიგი ძირითადი ამოცანები.

კონფერენციამ აირჩია კომკავშირის ახალი რაიკომი 35 კაცის და სარევიზიო კომისია 5 კაცის შემადგენლობით.

★

კონფერენციის შემდეგ შესდგა კომკავშირის კიროვის რაიკომის პირველი პლენუმი, რომელმაც რაიკომის მდივნად, ერთხმად აირჩია ამხ. ხილაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის დადგენილება
სასპორტო დარბაზების შესახებ

1. კატეგორიულად აეკრძალოს ყველა უწყებას, ორგანიზაციებს და სასწავლებლებს სასპორტო დარბაზების გამოყენება არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ.

2. დაევალოს ყველა ორგანიზაციას, უწყებებს და სასწავლებლებს, რომლებსაც აქვთ სასპორტო დარბაზები, რომლებიც დაკავებულია საერთო საცხოვრებლებად, საწყობებად და სხვ., ერთი თვის ვადაში გაათავისუფლონ ისინი, შეაკეთონ და გადასცენ ფიზკულტურულ მუშაობისათვის.

3. დაევალოს საქართველოს განსახკომს, პროფსაბჭოს და ყველა სახალხო კომისარიატებს მიმდინარე წლის პირველი და მეორე კვარტალების განმავლობაში შეაკეთონ და სანიმუშო მდგომარეობაში მოიყვანონ თავისი სასპორტო დარბაზები.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს მიმდინარე წლის ივლისში გამოიკვლიოს ყველა სასპორტო დარბაზი და ის დარბაზები, რომლებიც მოუვლელი იქნება, ჩამოართვას და გადასცეს სხვა ორგანიზაციებს.

მზადება საგაზაფხულო თესვისათვის

არ ჩქარობენ გუთნების შეკეთებისათვის

(ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

თელავის რაიონში სასოფლო-სამეურნეო იარაღ - მანქანათა რემონტის გეგმის შესრულება საერთოდ დამაკმაყოფილებელ მაჩვენებლებს იძლევა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ყველა სასოფლო საბჭოში ამ მხრივ კარგი მდგომარეობა იყოს.

ჩვენ ლაპარაკი გვაქვს ახმეტის სასოფლო საბჭოზე (თავმჯდომარე ამხ. ჭუაძე). აქ ნაადრევად მიაჩნიათ საგაზაფხულო თესვისათვის მომზადება, არ ჩქარობენ გუთნების დაჩქარებით შეკეთებისათვის.

გადავხედოთ მათ მაჩვენებლებს.

კოლმეურნეობებში უნდა შეკეთდეს 22 გუთანი, ხოლო ერთპიროვნულ მეურნეობებში —135 გუთანი. ფაქტიურად 30 იანვრისათვის მათ შეკეთებული ჰქონდათ სულ 79 გუთანი. დანაშაულებრივად ჭიანურდება გუთნების შეკეთება ერთპიროვნულ მეურნეობათა ხაზით; აქ 135 გუთნიდან შეკეთებულია მხოლოდ 59 გუთანი. როგორც ხედავთ, გეგმის შესრულება არ აღემატება 45 პროცენტს.

საბჭო თელავიდან ელის სარემონტო ბრიგადებს — ეს იმ დროს, როდესაც სოფ. ახმეტის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" სამჭედლო დაუტვირთავია. 31 იანვრისათვის სამჭედლოში ერთპიროვნულ მეურნეობებს არცერთი გუთანი არ ჰქონდათ შესაკეთებლად მიტანილი სამჭედლო, რომელმაც კარგა ხანია შეაკეთა თავის კოლმეურნეობის გუთნები, ახლა მხოლოდ წვრილმან ინვენტარის შეკეთებაზე მუშაობს. არც მეორე სამჭედლოა დატვირთული. გუთნების დაჩქარებით შეკეთებისათვის საბჭო არ აწუხებს ერთპიროვნულ მეურნეობებს. თვითდინება კი ჩაშლის საფრთხეში აყენებს საგაზაფხულო ხვნა - თესვის დროზე დაწყებას.

მაშ რას უნდა მიეწეროს, თუ არა სას. საბჭოს მხრივ რემონტისადმი უსულგულო დამოკიდებულებას ის, რომ 10 იანვრიდან — პირველ თებერვლამდე ერთპიროვნულ მეურნეობებმა მხოლოდ 14 გუთანი შეაკეთეს ნამდვილად კი გუთნების გაცილებით მეტი რაოდენობის შეკეთება შეიძლებოდა.

31 იანვრისათვის ერთპიროვნულ მეურნეობების 4 ტრიერის შეკეთება დაწყებულიც კი არ იყო.

ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. თელავის რაიმიწგანმა გადაჭრით უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა სასოფლო საბჭოებისადმი. პასუხი უნდა მოეთხოვოს ყველას, ვინც აჭიანურებს საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას.

ახმეტის სას. საბჭომ და პარტორგანიზაციამ ყოველგვარი ზომა უნდა მიიღონ გუთნებისა და სხვა ინვენტარის შეკეთების უახლოეს დღეებშივე დასამთავრებლად.

ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შემდეგ

შეთანხმების მნიშვნელობა საჰაერო უშიშროების საქმეში

პარიზი, 4 თებერვალი. დღეს გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობის ტექსტი კიდევ უფრო ადასტურებს საფრანგეთ-ინგლისის მოლაპარაკების შედეგების მნიშვნელობას. საფრანგეთის პრესა ერთსულოვან კმაყოფილებას გამოსთქვამს ამ შედეგებით. „ეკო პარიზიენის" თანამშრომელი ბურგესი, რომელიც ახლოს სდგას ოფიციალურ წრეებთან, შემდეგ სათაურს უკეთებს თავის სტატიას — „მცირე ანტანტისა და საბჭოთა კავშირის მიმართ საფრანგეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებანი მთლიანად დაცულია" ბურგესი შემდეგ აღნიშნავს, რომ საჰაერო შეთანხმებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, ვინაიდან იგი, როგორც ლოკარნოს პაქტის გაგრძელება და გაფართოება, მნიშვნელოვნად სცვლის ამ პაქტის თვით აზრსა და ბუნებას. ჯერ ერთი, ინგლისი, რომელიც დღემდე ლოკარნოს პაქტის მხოლოდ გარანტი იყო, ახლა თვით ღებულობს თავისი უშიშროების გარანტიას, რომლიდანაც საჰაერო თავდასხმის შემთხვევაში საფრანგეთის საჰაერო ფლოტი ვალდებულია დაეხმაროს ინგლისს. მეორე, — მითითება, რომ ეს დახმარება აღმოჩენილი უნდა იქნას „დაუყოვნებლივ", არსებითად ავალდებულებს ინგლისს ავტომატურად გამოვიდეს საფრანგეთის დასახმარებლად. ბურგესის აზრით, ეს საშუალებას აძლევს ინგლისს თავისი, როგორც გარანტის, პასუხისმგებლობა დააკისროს ერთა ლიგის საბჭოს. ვინაიდან ლოკარნოს პაქტის არსის მიხედვით, ინგლისი უნდა გამოსულიყო საფრანგეთის დასახმარებლად მხოლოდ ერთა ლიგის საბჭოს ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ. ომის შემდგომი დროიდან, წერს ბურგესი, ინგლისი ჯერ კიდევ არასოდეს არ წასულა ასე შორს უშიშროების უზრუნველყოფის ვალდებულების მხრივ.

ამავე აზრს გამოსთქვამს პერტინაქსი „ეკო დი პარიში".

„კონვენცია შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, — წერს ის, — არ შეიძლება ხელმოწერილ იქნას აღმოსავლეთის პაქტზე ერთდროულად ხელმოწერის გარეშე, ამასთანავე, თუ გერმანია უარს იტყვის მასში მონაწილეობაზე, ის ჩამოცილებული იქნება მისი მონაწილეობის გარეშე საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის საშუალებით".

ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მთელი პრესა ხაზს უსვამს ამ მდგომარეობას, როგორც ლონდონის შეთანხმების უმნიშვნელოვანეს შედეგს.

ამავე დროს პრესა იუწყება შემდეგ საინტერესო დაწვრილებით ცნობებს: თურმე იტალიას გაეგზავნება მიწვევა შეუერთდეს საჰაერო შეთანხმებას, მაგრამ მისი როლი იქნება სხვაგვარი, ვინემ საფრანგეთის ან ინგლისის როლი, ვინაიდან ის მხოლოდ იქნება მხოლოდ გარანტის სახით. ეს ნიშნავს, რომ ინგლისის აეროფლოტი, მაგალითად, არ დაიცავს რომს საჰაერო თავდასხმის შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, არ არის გამორიცხული შესაძლებლობა ანალოგიური საჰაერო შეთანხმებისა საფრანგეთისა და იტალიას შორის, რომელსაც, თავის მხრივ შეუძლია შეუერთდეს გერმანია.

როგორც „ეკო დე პარის" კორესპონდენტი იუწყება, ლავალმა ამის შესახებ აცნობა იტალიის ელჩს ლონდონში გრანდის.

შემდეგ მთელი რიგი გაზეთები ადასტურებენ ამჟამინდელ გამოქვეყნებულ ცნობას, რომ მალე დაიწყება ინგლის-გერმანიის მოლაპარაკება საჰაერო საკითხზე. ამისათვის ლონდონს ეწვევა სერატი, ან იდენი გაემგზავრება ბერლინში (ადს).

ინგლისის ბურჟუაზიული პრესა იწონებს ინგლის-საფრანგეთის წინადადებებს

ლონდონი, 4 თებერვალი. კონსერვატიული, ლიბერალური და ლეიბორისტული პრესა საერთოდ იწონებს ინგლის-საფრანგეთის წინადადებებს. მთავრობასთან ახლო მდგომი გაზეთები ხაზს უსვამენ ორ პუნქტს: 1) წინადადება საჰაერო კონვენციის დადების შესახებ განუხრელად გადაეცემა გერმანიას, მას წინადადებას აძლევენ შეუერთდეს კონვენციას სრული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე და 2) მაშინ, როცა ახალი წინადადებანი არსებითად არ აფართოვებენ ინგლისის მიერ ლოკარნოს პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, ისინი განუსაზღვრელ პერიოდში უზრუნველყოფენ ინგლისისათვის მხარისდამჭერებს მის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის შემთხვევაში. მხოლოდ „დეილი ექსპრესი" აკრიტიკებს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას და აღნიშნავს, რომ მთავრობამ არ შეასრულა თავისი დაპირება, რომ იგი არავითარ ახალ ვალდებულებას არ იკისრებდა. (ადს).

ინგლისის კომპარტიის ყრილობაზე

დამოუკიდებელი მუშათა პარტიის თავმჯდომარის მექსტონის გამოსვლა

მანჩესტერი, 4 თებერვალი. პირველად კომპარტიის ისტორიაში მის ყრილობაზე გამოვიდა ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის თავმჯდომარე მექსტონი. მან განაცხადა, რომ ინგლისის მშრომელები ანგარიშს უწევენ ომისა და ფაშიზმის საფრთხეს თუ ისინი სწრაფად ირაზმებიან უმუშევრობის კანონის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ეს საფრთხე მთლიანი ფრონტის შედეგს წარმოადგენს. მექსტონმა წაიკითხა ლეიბორისტული პარტიის პასუხი კომპარტიისა და დამოუკიდებელი მუშათა პარტიის 31 იანვრის საერთო წერილზე, რომელშიაც ლეიბორისტული პარტიის წინადადება ეძლეოდა მოეწყოთ თათბირი, რათა განეხილათ საერთო მოქმედება უმუშევრობის შესახებ ახალი კანონის წინააღმდეგ. პასუხში ნათქვამია, რომ გაერთიანებულმა საბჭომ გადაწყვიტა თავი შეიკავოს ყოველგვარი მოქმედებისაგან. შეძახილზე „სირცხვილი" მექსტონმა პასუხად განაგრძო:

„რამდენჯერაც არ უნდა უარყონ ჩვენი წინადადება, ჩვენ ყოველთვის ვპოულობდით გამოხმაურებას რიგითი წევრების სულ უფრო და უფრო მეტ რიცხვში, რომლებიც დაჟინებით მოითხოვენ თანამშრომლობას" მექსტონი მოუწოდებდა ორივე პარტიას უფრო მჭიდრო, მეტი ფართო მთლიანი ფრონტის შექმნისაკენ. საპასუხო სიტყვით გამოვიდა პოლიტი.

ყრილობა ენტუზიაზმით შეხვდა ირლანდიის კომპარტიის დელეგატს მერფის, რომელიც მიესალმა ყრილობას ირლანდიის კომპარტიის სახელით. მერფიმ მოუწოდა ინგლისის კომპარტიას მის [illegible] და მოუთხრო ირლანდიის კომპარტიის მიღწევების შესახებ (ადს).

◦ ◦ ◦ ◦

დინების შეცვლა ყარაბუღაზის ყურეში

აშხაბადი, 4 თებერვალი. ბოლო დროს ძლიერმა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ქარებმა დინება ყარაბუღაზის ყურეში უეცრად მიმართულებით შეცვალეს. წყალი ყურიდან მიდინება ზღვაში და თან მიაქვს დიდძალი მირაბილიტი ე. ი. ქვიშა, რომლებმაც ყური გაავსეს. მოსახლეობა შეძრწუნებულია. კავშირი ყურეში მდებარე სარეწაოებთან შეწყვეტილია. კრასნოვოდსკიდან ავტომანქანებით გაიგზავნა სურსათი, წყალი და საწვავი მასალა. ღებულობენ საჩქარო ზომებს ყურის გასაწმენდად.

აშხაბადი, 4 თებერვალი. (ელვა). ყარაბუღაზის ყურის ყელში გემებს წინანდებურად გასვლა არ შეუძლიათ. იგი დაბლოკილია ქვიშით და მირაბილიტით. მხოლოდ პატარა ბუქსირმა „სერბიამ" მოახერხა სამი დღის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ შესულიყო ყურეში და სარეწაოებისათვის სურსათი მიეწოდებია. თბომავალი „მეტალისტი", რომელიც „სერბიის" შემდეგ გაიგზავნა, ყურეში შესვლისას ქარიშხალმა უკუაგდო და მოხვდა „ტომარაში", რომელშიაც იგი ახლაც იმყოფება.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს აკადემიკოსმა ი. მ. გუბკინმა განაცხადა:

„ყარაბუღაზი მცირეწყლიანი ყურეა კასპის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ყურის ფართობი დაახლოებით 18 ათას კვადრატულ კილომეტრს უდრის. იგი ღრმად იჭრება უდაბნო მატერიკში და ზღვისაგან გამოყოფილია გრძელი ზოლით, რომელიც შუაში გადაჭრილია ვიწრო და პატარა სრუტით.

წყალი ყარაბუღაზის ყურეში გაცილებით უფრო მლაშეა, ვიდრე კასპის ზღვის მეზობელ ნაწილში. სწორედ ამით აიხსნება კასპიის ზღვის უფრო მჭიდრო წყლის დინება ყარაბუღაზის ყურეში. ყარაბუღაზი შეიძლება შევადაროთ დიდ აორთქლებულ ჯამს. აქ აორთქლების პროცესი უფრო სწრაფად ხდება და ყურის ფსკერზე სქელი მარილი ილექება.

დინების შეცვლა ყარაბუღაზში, როგორც ეტყობა, არის განსაკუთრებული სიძლიერის ქარების შედეგი და უეჭველად წარმოადგენს წარმავალ მოვლენას, რომელიც უახლოეს დროში უნდა შეწყდეს. (ადს).

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

კაპაბლანკა მიემგზავრება მოსკოვში

ბერლინი, 4 თებერვალი. დღეს ს. ს. რ. კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში მოეწყო დარბაზობა ჭადრაკის მსოფლიო ოსტატის კაპაბლანკას პატივსაცემად, რომელიც მოსკოვში მიემგზავრება. დარბაზობას დაესწრო გერმანიის და საზღვარგარეთის პრესის ბევრი წარმომადგენელი.

„პრავდის" კორესპონდენტთან საუბარში კაპაბლანკამ განაცხადა:

— მე უდიდესი კმაყოფილებით მივემგზავრები მოსკოვში. მე ვფიქრობ, რომ მოსკოვის ტურნირი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება უკანასკნელ წლების საერთაშორისო საჭადრაკო ცხოვრებაში. მე მოსკოვში მოველი მეტად სერიოზული მოთამაშეების შეხვედრას. ჩემთვის მოსკოვის ტურნირი იქნება ჩემი ძალის სერიოზული გამოცდა. მე ძალიან დიდად ვაფასებ საბჭოთა მოჭადრაკეების თამაშს.

კითხვაზე, თუ როგორი გეგმები აქვს მაესტროს მოსკოვის ტურნირის შემდეგ, მან განაცხადა:

მოსკოვიდან მე გერმანიაზე გამოვლით წავალ პარიზში. მე ჯერ კიდევ არ ვიცი, თუ როგორი შეხვედრები მექნება უახლოეს თვეებში. ყოველ შემთხვევაში ერთი ცხადია: ალეხინი, რომელსაც მე არაერთხელ შევსთავაზე რევანში, უარს აცხადებს ჩემთან თამაშზე (ადს).

ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობისათვის

„ლომბარდის მაშტაბი საერთაშორისო პოლიტიკაში".

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. „ბალტიმორ სენი" წერს, რომ ზოგიერთები — ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განახლებას უყურებდნენ როგორც მეთოდს — ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური კრიზისის პრობლემის გადასაჭრელად. იმის მაგივრად, რომ შეეფასებიათ იგი, როგორც „საერთაშორისო ურთიერთობის საღი აზრის ჩვეულებრივი გამოხატულების უბრალო აქტი" საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. მსგავსი საბაბით ურთიერთობის ჩაშლის წინადადება, — აღნიშნავს გაზეთი, — დამყარებულია საერთაშორისო ურთიერთობათა უცნაურ გაგებაზე, როდესაც უყურებენ როგორც სახელმწიფოთა ოჯახის შესაფერ წევრს, თუ იგი ყიდულობს საქონელს და იხდის ვალს, რომლის საკითხი ძალიან ბუნდოვანია. მაგრამ იგი კვლავ ხდება პარიად, თუ ცდილობს გაყიდოს საქონელი, ან ისესხოს ფული. ეს არის საერთაშორისო დიპლომატიისადმი ლომბარდის მაშტაბით მიდგომა. რასაც, ჩვენ იმედი გვაქვს, სერიოზულად არ მოეპყრობიან, გარდა ისეთი პირებისა, რომელთაც სუსტი გონება აქვთ". (ადს).

ხიროტა იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

ტოკიო, 3 თებერვალი. სიმბუნ რენგოს სააგენტო იტყობინება, რომ ორ თებერვალს ქვედა პალატის საბიუჯეტო კომისიაში გამოვიდა მინსეიტოს პარტიის წევრი ტოგოდა, რომელმაც განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობამ უნდა მიმართოს საბჭოთა მთავრობას წინადადებით — საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ და მიიღოს ზომები სამხედრო ძალების გასაფანტავად მანჯურია-საბჭოთა კავშირის საზღვარზე, რათა თანაბრად ნორმაში ჩააყენოს სამხედრო ძალები.

ტოგოდას საპასუხოდ საგარეო საქმეთა მინისტრმა ხიროტამ განაცხადა, რომ იგი „შესაძლებლად სთვლის, რომ თუ იაპონია საბჭოთა მთავრობას მისცემს წინადადებას დასდოს მასთან თავდაუსხმელობის პაქტი, ეს იქნება ერთადერთი გზა საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ საბჭოთა კავშირის და იაპონიის ურთიერთობაში არის პრობლემები, რომლებიც შეშფოთებას იწვევენ, და ამიტომ ასეთი შეთანხმების დადებამდე საჭიროა ზოგიერთი მოსამზადებელი ზომების მიღება".

◆

პირველი საცდელი მატარებელი მოსკოვის მეტროში

მოსკოვი, 5 თებერვალი. 4 თებერვალს შუადღიდან დაიწყო მეტროს გვირაბის ცალკეული უბნების შემოწმება დენის ქვეშ. საღამოს 7 ნახევარ საათზე ჩართული იქნა გვირაბის ყველა ქვესადგური და უბანი. როგორც ქვესადგურებმა, ისე დენის გადასაცემად დამონტაჟებულმა მესამე რელსმა გამოცდა საუცხოვოდ ჩააბარეს.

ამავე დროს დეპოდან გამოვიდა საცდელი მეტრო მატარებელი კომკავშირის სადგურზე და დაიწყო თავისი პირველი რეისი. გაიარა მეტროს მთელი ტრასა ყირიმის მოედნამდე და უკან დაბრუნდა ოხოტნი რიადის სადგურზე. მერე წავიდა არბატის რადიუსით სმოლენსკის მოედნამდე და შემოიარა, დაბრუნდა კომკავშირის მოედანზე. ამგვარად, მეტროს პირველი რიგის მთელი ხაზი შემოწმებულია. მეტრომშენის მუშებმა აღტაცებით მიესალმნენ პირველი მატარებლის გავლას. (ადს).

მეტროს სადგური „კროპოტკინსკაია ვოროტა".

საბჭოთა ფიზკულტურელების გამარჯვება პარიზში

ფინიშთან პირველნი მივიდნენ ძმები ზნამენსკები

გ. ზნამენსკი

პარიზი, 3 თებერვალი. ლა-კურნევის სტადიონზე, სადაც შესდგა „ლუმანიტეს" მიერ მოწყობილი შეჯიბრება, კროსში სრბენა უსწორმასწორო ადგილზე თავი მოიყარა 25 ათასმა მაყურებელმა. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად მოვიდა ექვსი კატეგორიის დაახლოებით 2.900 მორბენალი. საბჭოთა ფიზკულტურელებს მიესალმა მუშები. საბჭოთა ფიზკულტურელებმა უპასუხეს მისალმებას. მუშებმა მათ მოუწყვეს ოვაცია და იმღერეს „ინტერნაციონალი". ოსტატების ჯგუფის რბენა (პირველი კატეგორიის მორბენალები), რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა 250 კაცი — საფრანგეთის მუშათა სპორტული ორგანიზაციების უძლიერესი მორბენალები, — შესდგებოდა სამი წრისაგან 7.500 მეტრის მანძილზე. მორბენლებს რბენა უხდებოდათ ბორცვებით დაფარულ მინდორზე, თხრილებსა და ხევებზე.

საბჭოთა ფიზკულტურელები თავიდანვე დაწინაურდნენ. უკვე პირველ წრეზე ძმებმა ზნამენსკებმა გაუსწრეს დანარჩენებს 50 მეტრით. მათ მისდევდა საბჭოთა ფიზკულტურელების ჯგუფი. მეორე წრის ნახევარზე ძმები ზნამენსკები დაწინაურდნენ 150 მეტრით, მესამე წრის ნახევარზე — 250 მეტრით და მესამე წრის დასასრულს ფინიშის წინ — 300 მეტრით.

ამხ. პოტიომკინმა მიიღო საბჭოთა ფიზკულტურელები

პარიზი, 4 თებერვალი. დღეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. პოტიომკინმა მიიღო საბჭოთა ფიზკულტურელები. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა მიულოცა მათ გამარჯვება და გამართა მათთან ხანგრძლივი მეგობრული საუბარი (ადს).

ს. ზნამენსკი

ზნამენსკების განცხადება საქ. დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს

პარიზი, 3 თებერვალი. „ლუმანიტეს" კროსის შეჯიბრებაში გამარჯვებულმა სერაფიმ ზნამენსკიმ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა:

„შეჯიბრებამ ჩემზე საუცხოვო შთაბეჭდილება მოახდინა. მე პირველად ვნახე ამდენი მონაწილე რბენის შეჯიბრებაში. რბენა ძალიან კარგად იყო მოწყობილი. ჩვენ ზოგიერთი რამ უნდა ვისწავლოთ ფრანგი ამხანაგებისაგან ასეთი შეჯიბრების მოწყობის საქმეში. ფრანგ მორბენლებზე არაფერი შემიძლია ვთქვა, ვინაიდან მე წინ მივრბოდი და მათ ვერ ვუყურებდი. გამარჯვება მე ადვილად დამრჩა. ძნელია იმის გამოთქმა, თუ რა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და დანარჩენ ამხანაგებზე ფრანგი მუშა მაყურებლების შეხვედრამ და ოვაციამ".

შეჯიბრებაში მეორე გამარჯვებულმა გიორგი ზნამენსკიმ სთქვა:

მე პირველად ვხედავ ასეთ რბენას. განსაკუთრებით საინტერესოა ბავშვების მონაწილეობა მასში. ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ეს ახალი ამბავია. საჭიროა ჩვენც ვშინჯოთ ეს.

მე ბედნიერი ვარ, რომ ჩვენ შევძელით საბჭოთა კავშირის ღირსების დაცვა ამ შეჯიბრებაში (ადს).

დიდი უნივერსალური მაღაზია

თებერვალ-მარტის განმავლობაში, ტფილისში უნდა გაიხსნას ახალი დიდი უნივერსალური მაღაზია, რომელიც სანიმუშო იქნება მთელ ამიერ-კავკასიაში. მაღაზიას ხსნის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატი „მოსტორგის" დიდი უნივერსალური მაღაზიის მსგავსად.

ახალი მაღაზია მოთავსებული იქნება ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირის სამმართველოს შენობაში, (თორნისის ქ. № 7). ახალ უნივერსალურ მაღაზიაში იქნება კომერციული ფონდის ყოველგვარი სამრეწველო საქონელი. ცალკე მოეწყობა — ფეხსაცმელების, მანუფაქტურის, შალეულ-კამვოლური ქსოვილების, ტრიკოტაჟის, მზა ტანისამოსის, [illegible], მუსიკალური ინსტრუმენტების და ყოველგვარი სხვა სამრეწველო საქონლის განყოფილებები.

მაღაზიის მოსამარაგებლად უკვე გამოყოფილი და ტფილისში ჩამოტანილია 3.200.000 მანეთის სამრეწველო საქონელი. შემდეგში საქონელს მაღაზია მიიღებს მსუბუქი მრეწველობის ქარხნებიდან შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის განაწესებით.

მაღაზიაში 400-მდე კაცი იმუშავებს. შტატი და მაღაზიის ხელმძღვანელობა უკვე გამოყოფილია. მაღაზიის გამგედ დანიშნულია ამხ. ალფრედ გრონსკი.

ტ.ს.ო.კ.-ის სამმართველო, რომელიც ამჟამად მოთავსებულია მაღაზიისათვის გამოყოფილ შენობაში, გადაყვანილი იქნება ახალ ბინაზე. შენობის რემონტი და მოწყობა დამთავრდება ერთ თვეში.

—□—

1800 ტონა საშაქარლამო ნაწარმი

„ტფილსოფმრეწვის" საშაქარლამო ფაბრიკა № 1, 1935 წლის გეგმის მიხედვით ქვეყანას მისცემს 1800 ტონა საშაქარლამო ნაწარმს.

წელს ფაბრიკის ხელმძღვანელები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პროდუქციის ხარისხის და ასორტიმენტის გაუმჯობესებას. ბისკვიტის საამქრო, რომელიც გასულ წელს სამი ასორტიმენტის პროდუქციას უშვებდა, წელს უშვებს 8 ასორტიმენტისას. რაც შეეხება კარამელის საამქროს, გასულ წელთან შედარებით ორჯერ დიდდება ასორტიმენტი. შარშან ფაბრიკა უშვებდა 8 ასორტიმენტის პროდუქციას, წელს კი უშვებს 17.

—□—

რეიდი პროფპოლიტსწავლების შესამოწმებლად

8 თებერვლიდან საქ. პროფსაბჭოს კულტინსპექცია და გაზ. „მუშას" რედაქცია იწყებენ ერთდროული რეიდის ჩატარებას წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირეცოდნეობის ლიკვიდაციისა და პროფპოლიტსწავლების მიმდინარეობის შესასწავლად.

პირველად რეიდი ჩატარდება ტფილისში, ხოლო შემდეგ აჭარისტანში, აფხაზეთში და ქუთაისის რაიონში. რეიდის ჩატარებაში მონაწილეობას მიიღებენ პროფკავშირების აქტივისტები და გაზ. „მუშას" მუშკორები.

რეიდის დროს მთავარი ყურადღება მიექცევა სკოლების უზრუნველყოფას შენობებით, სახელმძღვანელოებით, კვალიფიციური მასწავლებლებით, აგრეთვე ისეთ საკითხებს, როგორიც არის სწავლების ხარისხი, მოსწავლეთა დასწრება, დისციპლინა და სხვ.

ვოლოდარსკის ქუჩაზე (ტფილისი) დაიწყო „თავდაცვის სახლის" გარეგნული გალამაზება.

სურათზე: „თავდაცვის სახლის" სვეტების შეღებვა.

◦ ◦ ◦

ბამბეულ ქსოვილების გამოფენა კონფერენციები

ახლო მომავალში ამიერ-კავკასიასა და კერძოდ საქართველოში დაიწყება ბამბეულის ქსოვილების გამოფენა-კონფერენციების სისტემატურად ჩატარება.

ბამბეულ ქსოვილების გამოფენა-კონფერენცია მიზნად ისახავს იმის შესწავლას, თუ როგორ ქსოვილებს მოითხოვს ცალკე რაიონების მშრომელი მოსახლეობა. ამ საკითხის შესწავლას დღემდე აწარმოებდა მოვაჭრე ორგანიზაციების საცალო სისტემა. მაგრამ შესწავლის ეს გზა მეტად რთული და შედარებით ნაკლებ ეფექტიანია.

ამ საკითხის შესწავლა კი აუცილებელია, ვინაიდან ცალკე რაიონებისა, სოფლებისა და ქალაქებისათვის საქონლის ასორტიმენტის შერჩევა წარმოებს ძველი წესით (საქალაქო და გლეხური ასორტიმენტი), რომელიც სრულიად არ აკმაყოფილებს ჩვენი კოლმეურნეებისა და მშრომელი მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

ბამბეულ ქსოვილებზე მოთხოვნილების შესწავლა აუცილებელია მით უმეტეს, რომ ბამბეული ქსოვილების წარმოების ზრდასთან ერთად იზრდება მაღალხარისხოვანი ქსოვილების ხვედრითი წონა. წელს ბაზარზე გამოშვებული იქნება 2.745 მილიონი მეტრი ბამბეული, აქედან 1.003 მილიონი მეტრი იქნება მაღალხარისხოვანი ქსოვილი.

გამოფენა-კონფერენციებს უხელმძღვანელებენ გამოცდილი საქონელმცოდნე პრაქტიკოსები, რომლებიც კონფერენციის მონაწილეებს შეასწავლიან საქონლის ხარისხისა და ვარგისიანობის გამორკვევის წესებს.

გამოფენა-კონფერენციებზე მიღებული იქნება მონაწილეთა წინადადებები ქსოვილების ფერებისა და სახეების (ნახატების) შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მრეწველობას უფრო სრულად დააკმაყოფილოს მშრომელი მოსახლეობის მოთხოვნილება.

პირველი გამოფენა-კონფერენცია მოეწყობა ტფილისში — ტფილისის, ბორჩალოს, ყარაიას, ლუქსემბურგის, წალკის, ბაშკიჩეთის, ალბულაღის, ერწო-თიანეთის, ხევის, დუშეთის, გარე-კახეთის და ბოგდანოვკის რაიონების კოლმეურნეთათვის. გამოფენა-კონფერენციას ჩამოთვლილ რაიონებიდან დაესწრება 100 კოლმეურნე დელეგატი.

კოლხეთის 3340 ჰექტარი დაშრობილი მიწა გადაეცემათ კოლმეურნეებს

10 თებერვლიდან იწყება კოლხეთის დაბლობის 3340 ჰექტარი დაშრობილი მიწის განაწილება სენაკის და ხობის რაიონებში. მთელი დაშრობილი ფართობი გადაეცემათ კოლმეურნეობებს სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებისათვის. 1000 ჰექტარი გამოყენებული იქნება ციტრუსოვანი ხარგვებისათვის, 1000 ჰექტარი — [illegible], 1340 ჰექტარი ბრინჯის, ტუნგის ხის და სხვ. კულტურებისათვის.

უკვე მომავალ გაზაფხულიდან დაიწყება კოლხეთის ნოყიერი ფართობის ათვისება.

—□—

მიჩურინელთა კონფერენცია

7 იანვარს ქ. სოხუმში მოწვეულია სუბტროპიკულ კულტურათა დარგში კოლმეურნე-მცდელთა ა.-კავკასიის პირველი კონფერენცია. კონფერენციას დაესწრება 50-ზე მეტი დელეგატი სუბტროპიკულ რაიონებიდან.

კონფერენციის ძირითადი ამოცანაა: საბჭოთა კავშირის ტენიან სუბტროპიკების ზონაში მცდელობითი მოძრაობის გაერთიანება, მათი შემდეგი ცდების სწორი მეცნიერულ გზით წარმართვა და სამეცნიერო, კომკავშირულ და სხვა ორგანიზაციათა მხრივ მცდელთათვის სისტემატიური ხელმძღვანელობის ფორმის გამონახვა.

სტრატოსფეროში ღია გონდოლით

ესპანელ აერონავტს პოდპოლკოვნიკ ემილიო ერერას განზრახული აქვს მოახდინოს გაფრენა სტრატოსფეროში ღია გონდოლიან სტრატოსტატით.

ერერა ჩაცმული იქნება სპეციალურ კოსტიუმში, რომელიც თბება ელექტრონით. პილოტი მაღლა მიფრინავს უთანამგზავროდ და იმედი აქვს წონის ეკონომიის მეოხებით მიაღწიოს სიმაღლეს 23 ათას მეტრამდე.

სტრატოსტატი და მთელი მოწყობილობა დამზადებულია ესპანეთის სამხედრო ქარხნებში. მზადება გაფრენისათვის უკვე წელიწადნახევარზე მეტია გრძელდება.

ამავე დროს იტალიის საჰაერო ფრენის სამინისტრომ მოაწყო მფრინავთა სპეციალური ჯგუფი სტრატოსფეროში გაფრენის მოსამზადებლად. საქმე ეხება ინდივიდუალურ და ჯგუფურ გაფრენებს. საჰაერო ფრენის სამინისტროს ანგარიშის თანახმად, ამ ჯგუფის მფრინავებმა უკვე მოახდინეს ფრენა 12.500 მეტრის სიმაღლემდე.

სურათზე: ესპანელი აერონავტის, ემილიო ერერას სტრატოსტატის მოდელი.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

საქ. ცაკის პრეზიდიუმის ... იანვრის 19 დადგენილებით, პრეზიდიუმის შემადგენლობიდან გამოიყო მცირე პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), თ. ჟღენტი (მდივანი), გ. ბაქრაძე, გ. სტურუა და ს. ჯუღელი.

ამავე პრეზიდიუმის დადგენილებით დამტკიცებულ იქნა სა ცაკის მუდმივი კომისიები შემდეგი შემადგენლობით:

ბავშვთა კომისია

ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), გორდელაძე (განსახკომი), შულგინა (პ.-მგ. მდივანი), ნ. მახარაძე (სასკ. ასაკამდე აღზრდის კოოპერაცია), ქაცარავა (ტფ. განათლ. განყოფილება), მამალაძე (ჯანსახკომი), გობეჯიშვილი (იუსტსახკომი), წერეთლაძე (ალკკ ც. კ.), თ. ჟღენტი (ფინსახკომი), გველესიანი.

კერძო ამნისტიის შემფარდებელი კომისია

თ. ჟღენტი (თავმჯდომარე), გ. ფოშაკიძე, ნ. მახარაძე, გ. ბოლქვაძე, გ. ჩხეიძე, გობეჯიშვილი (რესპ. პროკურორი).

წითელარმიაში მყოფის ბავშვების დამხმარე კომისია

თ. ჟღენტი (თავმჯდომარე), ა. საყვარელიძე (თავმჯდ. მოადგ.), ა. ბერიძე (თავმჯდ. მე-2 მოადგ.), ძიძიგური (იუსტსახკომის მოადგ.), კიკნაძე (პროფსაბჭო), გორდელაძე (განსახკომი), მამალაძე (ჯანსახკომი), მარჯანოვი (თავდაცვა-ავიაქიმის საბჭო), სიხარულიძე (გაზ. „მუშას" რედაქტორი), ჩოლოყაშვილი (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.), მგელაძე (ა.ლ.კ.კ. ც. კ.), კიკნაძე ნ. (გაზ. „კომუნისტი"-ს რედ.), [illegible]შვილი (კომისიის პ.მგ. მდივანი).

საქ. ცაკთან სახელმწ. კრედიტისა და შემნახველ სალაროს დამხმარე კომისია

კ. ზომერიკი (თავმჯდომარე), შ. ელიავა (ფინსახკომის მოადგ.), შონია (შემნახვ. სალარ. სამ.), ბერძენიშვილი (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.), ნარეშა, მამიკონოვი (ა.ლ.კ.კ. ც. კ.), გრიგოლია (სახბანკი), ტბილელი (ტფ. საბჭო), ჰოხოხელიძე (26 კომუნარის ქარხანა), ჩოგოვაძე (მაუდის ქარხანა), [illegible]ავილი (პროფსაბჭო), ძიძიშვილი ([illegible]), იურიაძე (ამხ. ფ. მახარაძის სახ. კოლმეურნეობა).

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტი

ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), ა. თათარაშვილი (თავმჯდ. მოადგ.), გ. ზიზიშვილი (თავმჯდ. მოადგ.), ს. თოლორია, [illegible] ყურულაშვილი, ი. ფაშალიშვილი, გ. ტოროშელიძე, ღლონტი[illegible] (საქ. უნივერსიტეტი) ჩუბინიშვილი (მუზეუმის დირ. მოადგ.), შევარდნაძე, (ეროვნ. გალერ. დირექტ.), ბარკაძე გ. (რევოლუციური მუზეუმის დირექტ.), თოფურიძე (ცენტრ. არქივის დირექტორი), ნიორაძე (საქ. მუზეუმის არქეოლოგ. განყ. გამგე), პროფ. კეკელიძე, პროფ. ახვლედიანი, სიდამონიძე, ჩიქვაძე, სიმონ ჯანაშია.

სამოქალაქო ომის და წითელარმიის ისტორიულ ძეგლთა დაცვის კომისია

თ. ჟღენტი (თავმჯდომარე), ს. მგალობლიშვილი (თავმჯდ. მოადგ.), მირიტაძე (ქართულ დივიზიის პოლიტ. განყ.), მეტრეველი (ა.ლ.კ.კ. ც. კ.), ბახტაძე ალ. (წ.-პარტიზანთა საზ-ბა), ტრაპაიძე ზ. (ძველ ბოლშევიკების საზ-ბა), თარხანოვი გიორგი, ჯანჯღაველი (მოწსახკომი), გორდელაძე ალ. (თავდაცვა-ავიაქ.), ზაალიშვილი (პროლეტ. ტურიზმის საზ-ბა), ბარკაძე გ. (რევოლუციის მუზეუმი), თოფურიძე (ცენტრ. არქივი), ხიშბა (აფხაზეთიდან), [illegible] (აჭარისტანიდან), [illegible]ძე (განსახკომიდან).

საარჩევნო უფლებებში აღდგენის კომისია:

ა. მარგიშვილი (თავმჯდომარე), თ. შაფიშვილი, ტფ. საბჭოს სარაჯ. განყ. გამგე), [illegible], პროფსაბჭოს წარმომადგენელი ნარიმანოვი.

◆

სტენოგრაფიის კურსები პროფსაბჭოსთან

საქ. პროფსაბჭოსთან მოეწყო სტენოგრაფიის შემსწავლელი 8 თვიანი კურსები, რომელზედაც ღებულობენ პროფკავშირის წევრ მუშ-მოსამსახურეებს საშუალო განათლებით.

კურსებზე მეცადინეობა იწარმოებს საღამოობით, დღეში 2 საათი. მიღებულ მსმენელთა პირველი ჯგუფი უკვე შეუდგა მეცადინეობას.

კურსდამთავრებულები, მომავალში გამოყენებული იქნებიან სტენოგრაფიის მასწავლებლებად იმ სკოლებში, სადაც ეს საგანი იქნება შემოღებული.

◆

ქრონიკა

— 7 თებერვალს საღ. 7 საათზე „საქნავთის" გეოლოგიურ განყოფილებაში (ძერჟინსკის ქ. № 22) ინჟ.-გეოლოგები ნ. ვახანია და ი. [illegible] წაიკითხავენ მოხსენებებს თემაზე: „გეოლოგია და წიფა-ხარაგოულის მიოცენური ზოლის ნავთიანობა" და „გურიის 1934 წ. გეოლოგიური კვლევის შედეგები".

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1934-35 წ. სეზონი

6 თებ. 5 აბონ 7 წარმ.	7 თებერვალს მე-3 აბ. 7 წარ.	8 თებერვალს 4 აბონ. 7 წარ.
პიკის ქალი	გედების ტბა	შოთა რუსთაველი

იმ აბონენტები რომლებსაც არ აქვთ შეტანილი მე-8 გადასახდელი ყველა აბონემენტზე წარმოდგენაზე არ დაიშვებიან. ხოლო მათი ადგილები გაიყიდება.
ბავშვები და მოწაფეები საღამოს წარმოდგ. არ დაიშვებიან
სალარო ღიაა დღისით 11—2 ს. და საღ. 6—9 ს.
წარმ. დასაწყ. საღ. სრ 8 ს.

რუსთაველის სახ. თეატრი

6 თებერვალს სტ. აბ. 8 5 წარ.	8 თებერვალს 8 აბონ. 5 წარ.	9 თებერვალს 8 აბ. 5 წარ.
დუშმანი	მაისტერ	მაისტერ

[illegible] თეატრის სალაროში წარმოდგენის დღის 2 საათამდე
დილის წარმოდგენები შეღავათიან ფასებში დღის 12 საათზე.
6 თებერვალს — დუშმანი.
სალარო ღიაა 11—2, 6—9 საათამდე.

მარჯანიშვილის თეატრი

6 თებერვ. აბონ. გარეშე	წარმოდგენა № 78 ხინოშვილის გურია
8 თებერვ. აბონ. № 4 მე 5 წარ	წარმოდგენა № 79 ოტელო
9 თებერვ. აბონ. № 1 მე-5 წარმ.	წარმოდგენა № 80 ოტელო

აბონენტთათვის [illegible]
სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 ს. დასაწყისი 8 საათზე.

ოქტომბერი 6-30, 8, 9-30 11	დიდი ხმოვანი ფილმი [illegible]
დამკვრელი 6-30, 8, 9-30, 11	დადგ. [illegible] ახალი კომედია [illegible] მემკვიდრე პრინცი
[illegible] -30, 8, 9-30, 11	სათავგადასავლო კინო რომანი კუნძული ტოგში
ლუქსემბურგის სახ. 6, 7-40, 9-30, 11	ხმოვანი მხატვრული ფილმი [illegible]
„26"-ის კომ. სახ. -30, -30, 10-30.	ხმოვანი ფილმი უკანასკნელი მასკარადი

ქალ. ტფილისის გაერთიანებულ სახ. სახამართლოს აღმასრულებელი დ. ა. ხვანიძე
ამით აცხადებს, რომ ის 8 თებერვალს აშუადღევის 12 საათზე,
საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის
ავჭალის ქ. № 10 სახლში მდებარე არტელ „კომუნის" შემდეგ ქონებას:
ბურჟის შკაფებს (ბუფეტი) წიგნის შკაფებს, დაზგას—სახერხს და სხვ. სასკოლო-საკანცელარიო ნივთების ფაბრიკის პროდუქციის დასაკმაყოფილებლად 6.360 მან. 18 კაპ. რაოდენობით. თანახმად ქალ. ტფილისის სახ. ს ნოტარო კანტორის ა. წ. 21 იანვრის თარიღით და 790 N-ით გაცემული აღსრულებითი წარწერისა.
საჯარო ვაჭრობის დროს დაცული იქნება საქ. სამოქ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები. 6688

გრძელდება მსმენელთა მიღება
საკპურტრესტის საქ. საფაბრიკო სკოლაში
სწავლა ერთწლიანია.
შემოსულებმა აუცილებლად წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. განათლების, 2. ჯანმრთელობის, 3. დაბადების, 4. სოციალური წარმოშობის.
მიღებული მოსწავლენი უზრუნველყოფილი იქნებიან ხელფასით 62 მ. 50 კ. რაოდენობით, დაუფასო საცხოვრებლით, კოოპერატივით და სხვ.
განცხადებების მიღება იწარმოებს სურამის ქ. № 1, (რკინისგზის სამმართველოს გვერდით), მე-12 სკოლის შენობაში, საღამოს 7 საათიდან 10 საათამდე.
58 ადმინისტრაცია.

ექიმი ბერიშვილი
ვენერიული, სამარდ., საქ. ქსოვ. სიფილისი და [illegible] ღიაა დილ. 9 12 ს. დ.ა 6—8 ს ქალებისათვის ცალკე. მისამართი პლეხანოვის [illegible] № 8 [illegible] 414 10-1

მშობლები: ირმა და გივი, ძმა ნუგზარი, ბებია პასიკო, ბაბუა ალექსანდრე იაშვილები იუწყებიან ნორჩ
ლამარა იაშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 7 თებერვალს 4 ს. გამოსვენება ცაცხვების ქ. № 8. 1—1 6663

და მარო, სიძე შალვა მაისურაძეები შვილებით იუწყებიან
თამარ ა. პეტრეს-ასულ კაპანაძის
უდროოდ გარდაცვალებას. ათარბეგოვის ქ. № 49. 6673.

ექტორ ათანასიას-ძე ნინიძე ცოლით და შვილებით იუწყებიან დედის
ანნა (ანუშკა) გიორგის ასულ ნინიძის
გარდაცვალებას. დასაფლავება 9 თებერვალს. 1—1 6669

დედა საშა, შვილი იაშა, და რიტა, ძმები: კოლია და ვანო, რძლები: საშა და მარიამი, სიძე იოსებ სანადირაძე იუწყებიან
ბაბუცა ამირაღოვი-ალიბეგოვის
გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 ს. დავითაშვილის ქ. № 45. 6666

ექიმი
ს. ვ. მესხელიშვილი
თვალის ხნეულებანი
ავადმყოფების მიღება 5—7 საათამდე.
ყიფიანის ქ. № 6

დედა ფედოსია, და ეთერი ჭილღიძეები, დეიდები: მარო და ანეტა შვილებით იუწყებიან, რომ 7 თებერვალს 4 ს. ქუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
ერასტი ხამხოჩნ-ძე ჭილღიძის
1—1 ხსოვნის აღსანიშნავად. 6664

ჯანსახკომის სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის ორივე სამეანო-გინეკოლოგიური კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ამავე ინსტიტუტის სამეანო ნაწილის გამგის ამხ. გ. კალანდაძის მეუღლის
ეკა კალანდაძის
1—1 გარდაცვალებას. 6662

მშობლები: ლუბა, ვალოდია, დები: ოლიჩკა, ვერა დემურიები იუწყებიან
ნადიას (ნადიჩკა)
გარდაცვალებას. დასაფლავება ვერის სასაფლაოზე 8 თებერვალს 4 ს. გამოსვენება ლომინაძის ქ. № 5, სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე 7 ს. 6659

ქაიხოსრო (ქუცნა) მეუღლით ეკატერინეთი იუწყებიან ძმის და მაზლის ინჟინერ
გიორგი [illegible]-ძე ამირეჯიბის
გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 საათზე. გამოსვენება მოსკოვის ქ. კურსკის შესახვევი № 7, 5 ს. ვერის სასაფლაოზე 7 თებერვალს. 6657

დები: დესპინე ჰიჭინაძისა, მარიამი, ელენე და სიძე გედევან წერეთელი იუწყებიან
კატო (ეკატერინე) ქურციკიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 6 თებერვალს. რუსთაველის 9. 6658

რუსული ენისა და ლიტერატურის პედტექნიკუმის ადმინისტრაცია, პედპერსონალი და სტუდენტები იუწყებიან აკაკი და ალექსანდრე გვახარიას დის
ნატაშა გვახარიას
გარდაცვალებას. 6661

შვილები: თეოფანე მეუღლით ნატალია, კატო, მინადორა და შვილიშვილები იუწყებიან
ხარიტონ ვახტანგის-ძე ქვანიას
გარდაცვალებას. გამოსვენება 7 თებერვალს 4 ს. ზინიდან ძმელიძის შეს. № 3. 1—1 6660

მშობლები: ცართანა, სიმანა, ძმა ეორა ოსიპოვები ბაბუა არშაკ და ბებია ანნო ზარასდანოვები იუწყებიან
ჩაიკო ოსიპოვის
უდროოდ გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 6 ს. დაკრძალვა 7 თებერვალს 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება რიყის ქ. № 8. 6665

ნინო, ილიკო, შვილებით: ლიზიკო და ქეთო სეხნიაშვილები, სიძე მელიქიძე, ბაბუა, ბებია, თამარი ქარშვილთ და ძმები შალიკო და გოგი იუწყებიან
ხალ. [illegible] მენთეშაშვილი-გეგელაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 1—1 6670

ლიუდმილა, კოლია, ლამარა, და გურამი გოჯავები იუწყებიან დისშვილის
ნადია (ნადიჩკა) დემურიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე 8 თებერვალს 4 ს. 6672

ქმარი პროკოფი, შვილით დოდოთი, დედა ოლიჩკა თარგამაძისა შვილებით, დეიდა ილონი, ბიძა ვასო შვილებით: არჩილ, მარგალიტა, ნორა, ეთერი ხუნწარიები იუწყებიან
კატუშა რამიშვილი—ციცაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე 8 თებერვალს გამოსვენება უნივერსიტეტის ქ. № 8, 4 ს. 66671

ალექსანდრე ამირეჯიბი მეუღლით ნინოთი, შვილები: ეკატერინე, რუსუდანი, რომანი, გიორგი, სიმონი, ზაალი და ირაკლი, რძალი მარგალიტა და სიძე ქაიხოსრო ამირეჯიბი იუწყებიან ინჟინერ
გიორგი ივანეს-ძე ამირეჯიბის
გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი 6 თებერვალს 7 ს. გამოსვენება 5 ს. მოსკოვის ქ. კურსკის შეს. № 7 დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე 7 თებერვალს. 1—1 6656

საქართველოს კურორტების მთავარი სამმართველოს მოსამსახურენი თანაგრძნობას უცხადებენ შალვა მაისურაძეს ცოლის დის
თამარ პეტრეს-ასულ კაპანაძის
უდროოდ გარდაცვალების გამო. ათარბეგოვის 49. 6673

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 10, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. № 54. ტელეფონები: რედაქტორის 8—62—26, რედაქტორის მოადგილის 8—63—08, პასუხისმგებელი მდივნის 8—06—88, მასობრივი განყოფილების 3—73—24. პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების 3—73—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის—3—51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი", კაშის ქ. № 56

მთავლიტის რწმუნებული ა 9335.